საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 13 აგვისტო, 2014 წელი.

№159 (7540)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ხელისუფლებამ სამართლიანობის აღდგენის ვადები დააანონსა

ანზორ ქოქოლაძე

მთავარი თემა

ბრალი წარუდგინეს მიხეილ სააკაშვილს!

ბრალი წარუდგინეს ზურაბ ადეიშვილს!

ციხეშია ვანო მერაბიშვილი!

ციხეშია ბაჩანა ახალაია!

ციხეშია გიგი უგულავა!..

ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ ახალი ხელისუფლების ტონი გამკაცრდა, მაგრამ, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ბევრს, ვისაც უშუალოდ შეეხო ნაციონალური რეჟიმის მსახვრალი ხელი, ჰგონია, რომ ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენა არ სურს! ივანიშვილის გუნდის ქვეყნის სათავეში მოსვლიდან თითქმის 2 წლის თავზე, ხელისუფლების მოქმედებების ფონზე, რატომღაც კვლავ ჰაერივით საჭირო და აუცილებელი გახდა კიდევ ერთი საზოგადოებრივი მოძრაობის სახელი **„ აღადგინე და დაამკვიდრე სამართლიანობა“**. გუშინ, ამ მოძრაობის ეგიდით გაერთიანებული ქონებაწართმეული, უფლებაშელახული, შვილმოკლული ადამიანები შეიკრიბნენ და ბრძოლის ახალი, უფრო შეუვალი და მკაცრი ეტაპი დააანონსეს.

ეს ხდება საქართველოში იმ ფონზე, როცა უცხოელი კეთილმოსურნე მეგობრები შეძლებისდაგვარად გვამათრახებენ ყოფილი მაღალჩინოსნების დევნის გამო, პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების აღძვრის გამო... თუმცა, ამაზე მოძრაობაში თავმოყრილ ადამიანებს სრულიად ერთმნიშვნელოვანი პასუხი აქვთ — უბრალოდ, მათ ჩვენი ტკივილი არ ესმით!

იხ. 2 გვ.

◎ დღის ამფრაზურიდან

— პირდაპირ საკვირველია, რა გამოცდილებით აპირებს ეს დამარცხების დიდოსტატი, ლაჩარი და სამარცხვინო, ბრალდებული მხედართმთავარი სააკაშვილი უკრაინის ოლიგარქი პრეზიდენტის პოროშენკოს მხარდაჭერას, როცა დღესაც ყველას თვალწინ გვიდგას, როგორ დახოხავდა იგი გორში რუსების თვითმფრინავისგან თავზარდაცემული, ქვეშჩასვრილ-ჩასველებული...

არადა, საქვეყნოდ გაჰყვირის, ამჟამად უკრაინაში ვარ და ჩემს გამოცდილებას ვუზიარებ უკრაინის ხელისუფლებასო...

სწორედ ის ამბავია, შინ უვარგისი ძაღლი სხვაგან სანადიროდ რომ გარბოდა...

ფრთხილად, უკრაინელო მეგობრებო!..

◎ სიმართლეს ვერსად წაუხვალ!

ოლეგ მელნიკოვი გირგვლიანის საქმის ყველა ეპიზოდზე თავს დამნაშავედ მიიჩნევს

8

◎ გაუაზრებელი ხარაკირი

„ლობის“ იქით დემოკრატიის ნამდვილი სახე

5

თამარ სანიკიძე:

რაც აქამდე ხდებოდა, ეს იყო კატასტროფა

7

აზმაიფარაშვილმა ევროპა მოიგო, მსოფლიოსთვის დღეს ბათუმი იბრძოლებს

10

ხალხო, თვალი გაახილეთ, გაუპატიურებენ!

4

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

გვყავს „დიდგორის ჯვრის მედლის“ კავალერი

საძართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილე „დიდგორის ჯვრის მედლით“ დააჯილდოვა. პრემიერის ინიციატივით, ყოველი წლის 12 აგვისტოს, დიდგორის ველზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო გამორჩეულ სამხედროს „დიდგორის ჯვრის მედალს“ გადასცემს. პირველი მედალი თავად პრემიერმა გუშინ 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილეს, მე-4 მექანიზებული ბრიგადის 43-ე ბატალიონის მეთაურს, მაიორ ვიტალი ცხადაძეს გადასცა. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ბრძოლაში გამოჩენილ მამაცობასთან ერთად აღსანიშნავია ის, რომ ცხადაძემ და მისმა მეგობრებმა დაღუპული და დაჭრილი თანამებრძოლები ბრძოლის ველზე არ დატოვეს.

— ეს ნამდვილად სამაგალითო და დასაფასებელია. კიდევ ერთხელ მინდა, მადლობა გადავუხადო მას სამშობლოს სამსახურისთვის და ვუსურვო სამხედრო წარმატებები, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

„თეთრი ქუდი“ ფრთებს შლის

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტით დაფინანსებული სოკოს საწარმო „თეთრი ქუდი“ დაათვალიერა.

„ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების გაზრდა. შესაბამისად ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მსგავსი ტიპის საწარმოების გახსნას შევუწყოთ ხელი. ადგილობრივი წარმოების ზრდისთვის სახელმწიფოს მხრიდან თანადგომა აუცილებელია. სწორედ ამიტომ ბოლო წლების განმავლობაში, მთავრობის ინიციატივით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო, მათ შორის არის შეღავათიანი აგოკრედიტის პროექტიც, რომელიც უკვე მეორე წელია წარმატებით მიმდინარეობს“, — განაცხადა ოთარ დანელიამ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, კომპანიამ „თეთრი ქუდი“ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 600 ათასი აშშ დოლარის ოდენობის სესხი აიღო და საწარმოს გადაიარაღება-გაფართოება განახორციელა. დაინერგა თანამედროვე ტექნოლოგიები. საწარმოს წარმადობა 25%-ით გაიზარდა. 2013 წელს „თეთრი ქუდი“ 1300 ტონა სოკოს აწარმოებდა, წელს კი, 1500-1600 ტონამდე გაზრდას ვარაუდობენ. როგორც კომპანიის ხელმძღვანელები აცხადებენ, წარმოების გაფართოებამ სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდაც განაპირობა. 2013 წელს საწარმოში 120 ადამიანი მუშაობდა, დღეისათვის მათი რიცხვი 170-მდე გაიზარდა. უახლოეს მომავალში კომპანია „თეთრი ქუდი“ ახალი მთავრობის ინიციერებით დაწყებულ პროექტში „აწარმოე საქართველოში“ ჩართვასაც გეგმავს.

◎ მთავარი თემა

ხელისუფლებამ სამართლიანობის აღდგენის ვადები დააანონსა

(პირველი გვერდიდან)

„აღადგინე და დაამკვიდრე სამართლიანობას“ სათავეში ჩაუდგა ქონებაწართმეული **ანზორ ძოძოლაძე,** რომელიც ამბობს, რომ მოძრაობა არის სრულიად აპოლიტიკური, ორიენტირებული იმაზე — როგორმე აღადგინონ სამართლიანობა სხვადასხვა საზოგადოებრივი აქტივობებით, მოქალაქეთა კოორდინაციით, რეპრესირებულთა საქმეებზე მიმდინარე პროცესის მონიტორინგით, საზოგადოების ინფორმირებით და ა. შ. პოლიტიკოსებს ეკრძალებათ მოძრაობაში მონაწილეობა, რადგან ეს პროცესი უნდა მოექცეს მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივ ჩარჩოებში.

შეიძლება თუ არა სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაიძრას პოლიტიკური განცხადებების გარეშე?! — ალბათ, არა, ვინაიდან მოძრაობის დაფუძნების პირველივე დღესვე, სასტუმრო „რედისონში“ გაკეთდა ისეთი აქცენტები, რომელიც უშუალო კავშირშია ძველი თუ ახალი ხელისუფლების პოლიტიკურ ქმედებებთან. ყოველ შემთხვევაში, ყველა დაზარალებულის კომენტარი დანაშაულის პოლიტიკურ მოტივთან მიდის.

ნაპოლეონ ძარძაშაძე: სააკაშვილმა შექმნა რეჟიმი, რომლის წინააღმდეგ გავბედეთ და გავილაშქრეთ ბიძინა ივანიშვილთან ერთად. უნდა აღდგენილიყო სამართლიანობა, მაგრამ ეს მთავარი პირობა არ შესრულდა. როცა ამბობენ, რომ წართმეული ქონების დაბრუნებას შვიდი მილიარდი დასჭირდებაო, ეს არის მამალი ტყუილი. სახელმწიფო და ხალხი არ არის ერთად, ჩვენ შორის აღმართულია კედელი. არ ვიცით, რა ბედი ეწიათ საჩივრებს, ხომ არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს ძიების პროცესი?!

მამია სანადირაძე: სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე იყო 1300 პროკურორი, 1000 - სახლში გაუშვა. დღეს ქვეყანაში არის 400 პროკურორი, მათი უმეტესობა ჩართული იყო იმ უკანონობაში, რასაც წინა ხელისუფლება ჩადიოდა. ვინ უნდა გამოიძიოს ჩემი საქმე, ისევ იმ პროკურორმა, რომელიც ადრე ჩემი ბრალმდებელი იყო?! საოცარია. პეტიციები ხელისუფლებასთან არ ჭრის, ამიტომ აუცილებელია ჩვენი ჯგუფური მოქმედება.

ნოდარ მოსულიშვილი: ხელისუფლებას არ უნდა სამართლიანობის აღდგენა. ნება არ არის. არადა, როგორ ველოდებოდით, რომ შეიცვლებოდა კანონმდებლობა, აღდგებოდა სამართალი. როცა პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ საქმეს ვერ გამოვიძიებთ, იმიტომ რომ ბიუჯეტი 7 მილიარდს ვერ გადაიხდისო, ეს არის პირდაპირი მითითება და ჩარევა პროკურატურის საქმიანობაში. სააკაშვილი ჩადიოდა დანაშაულებს და მისი მოქმედების ძირითადი მოტივი იყო ქონების მითვისება. ვინმეს დაუბრუნეს ეს ქონება? — არა!

იური ვაზაგაშვილი: ახალი მოძრაობა არათუ დროული, არამედ დაგვიანებულიც კი არის. წლების განმავლობაში ვიბრძოდით ნაცონალური რეჟიმის წინააღმდეგ, მზად ვიყავით, სიცოცხლის ფასად გაგვეშვა ისინი, მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ არც ახალმა ხელისუფლებამ გაამართლა. ჩვენ გვინდა, დავეხმაროთ ხელისუფლებას, მაგრამ არ ვიცი, როგორ, რა ფორმით, რადგან ჩვენთან თანამშრომლობაზე არ მოდის. ვეუბნებით, რომ პროკურატურა სავსეა ზონდერებით, იმ ხალხით, ვინც ჩვენ გაგვაუბედურა, ჩემი შვილის მკვლელი დააწინაურეს შშს-ში, ამაზე თვალი როგორ დავხუჭო?

ეს ხელისუფლება ჩვენ მოვიყვანეთ, ამიტომ ვუფრთხილდებით. კიდევ გავუფრთხილდებით, რადგან ახლა მისი შეცვლის დრო არ არის, ეს ქვეყანას დაანგრევს. მაგრამ, არ ვიცით, სად, ვისთან ვეძებოთ სამართალი.

სოსო რობაძიძე: ქონება შეიძლება დაგიბრუნდეთ, რაღაც შედეგს მიაღწიოთ, მაგრამ მერას დამიბრუნებენ? იმ 125 ქუჩაში დახოცილ ბიჭს ვინ უშველის?! სააკაშვილის დაპატიმრება აუცილებელია, მაგრამ ასევე აუცილებელია პარტია გასამართლდეს, ყველამ უნდა აგოს პასუხი. მოდით, ჩვენ, ამ გამწარებულ ადამიანებს შეგვახვედრონ ელჩები, უცხოელი დიპლომატები და ის კეთილმოსურნე მეგობრები, რჩევებს რომ გვაძლევენ. დავუჯდებით და კარგად ავუხსნით, სააკაშვილი სისხლის სამართლის დამნაშავეა თუ პოლიტიკური დევნილი.

* * *

როგორც მოძრაობის ორგანიზატორი **ანზორ ქოქოლაძე** ამბობს, არ უნდა მიეცეს საშუალება ნაციონალურ მოძრაობის მხარდამჭერებს პოლიტიკური სარჩულის გამოყენებით ხელი შეუშალონ ჩადენილი უკანონობების გამოძიებისა და მართლმსაჯულების აღსრულების პროცესს. **„ნაციონალებისთვისაც მომგებიანი იქნება საქმეების გამოძიება, რადგან აღდგება სამართალი და მათაც ჩამოერეცხებათ ლაქა. ქართველი ხალხი მიმტევებელია და სანქციების ნაწილში უფრო ლმობიერი იქნება მათ მიმართ. ნაციონალებმა შეცდომები დაუშვეს, მაგრამ მარგინალებად არ უნდა ვაქციოთ. ისინიც დავუბრუნოთ საზოგადოებას“,** — დასძენს ანზორ ქოქოლაძე.

ყოფილი გენერალური პროკურორის **გია მეფარიშვილის** განცხადებით. **„კარგია, როცა რეაბილიტაციის მსურველები მიზანდასახულ მოძრაობას იწყებენ და ერთიანდებიან. სიტუაცია რთულია და არ მინდა ილუზიები გქონდეთ, რადგან ამ მიმართულებით სამართლებრივად ბევრი რამე გავაკეთეთ, მაგრამ, შედეგი არ არის.**

სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა, აღადგინოს სამართლიანობა და ამასთანავე, აანაზღაუროს ზარალი. მე ძალიან მაშფოთებს ის ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება ამ ბოლო ხანს: საერთაშორისო დონის სპეციალისტებმა, უცხოელმა კოლეგებმა შეიმუშავეს რამდენიმე პროექტი, რომლის მიხედვითაც სთავაზობენ შერიგებას „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას. ამ იდეის აპრობაცია თანდათან მიდის“...

მოძრაობა „აღადგინე და დაამკვიდრე სამართლიანობა“ დასახული მიზნის მიღწევას ხმაურიანი განცხადებებით, მკვეთრი ნაბიჯებით და აქტიური მოქმედებებით აპირებს, თუმცა, თუკი ხელისუფლების განცხადებებს ვირწმუნებთ, შეიძლება ბრძოლის ცივილიზებული მეთოდები საჭირო არც კი გახდეს.

ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, რომ უახლოეს მომავალში გაიგებს საზოგადოება, რა ბედი ეწევა ქონებადაკარგულ მოქალაქეებს: **„მინდა, განვუმარტო მოქალაქეებს, რომელთა უფლებები წლების განმავლობაში ირღვევა, ჩვენ 24 საათის განმავლობაში ვმუშაობთ და ვზრუნავთ მათი უფლებების აღსადგენად. პროკურატურამ თითქმის დაასრულა მათ საქმეებზე მუშაობა. უახლოეს მომავალში გაირკვევა, რა ბედი ეწევა იმ მოქალაქეებს, რომლებმაც დაკარგეს ქონება, ბიზნესი, სიცოცხლე“.**

ათასობით უფლებადარღვეული მოქალაქის წინაშე პრემიერი იღებს ვალდებულებას და ირწმუნება, რომ **„ჩვენ ამ პროცესს აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე. ყველა დანაშაულს თავისი სახელი დაერქმევა და ჭეშმარიტება დადგინდება!“**

თეა მოსია

◎ ეროვნული ვალუტა

რამ გამოიწვია ლარის გამყარება?

„ქართული ვალუტის გამყარება დადებითი მოვლენაა“

9 აგვისტოს, თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის ვაჭრობის შედეგების მიხედვით, ქართული ლარის კურსი 1 აშშ დოლარის მიმართ 1.7274-ს გაუტოლდა. ბოლო ორი თვეა, რაც ჩვენმა ეროვნულმა ვალუტამ გამყარება დაიწყო: ივლისის ბოლოს 1 დოლარი 1.7418 ღირდა, ხოლო იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ იანვარში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დოლარის მიმართ 1.7819 შეადგენდა, ლარის გამყარების ტენდენცია აშკარაა. ეროვნულ ბანკშიც აღიარებენ, რომ ლარის კურსი გამყარებისაკენ მიდის, თუმცა სამომავლო პროგნოზს ვერ აკეთებენ. სებ-ის წარმომადგენელთა თქმით, ვალუტის კურსი მოთხოვნა-მიწოდებაზეა დამოკიდებული და მომავალში რა იქნება, ძნელი სათქმელია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენს ქვეყანაში მცურავი გაცვლითი რეჟიმი მოქმედებს და ლარის კურსი პერიოდულად იცვლება ხოლმე.

რამ გამოიწვია ლარის გამყარება და რას უნდა ველოდოთ მომავალში? - ეს შეკითხვები დღეს ყველას აწუხებს. ამ საკითხზე სასაუბროდ BPN-მა „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ თავმჯდომარეს, რომან გოცირიძეს მიმართა.

— მიმდინარე წლის პირველი 7 თვის განმავლობაში, — თქვა მან, — ძალიან მყიფე წონასწორობა იყო სავალუტო ბირჟაზე, რადგან ეროვნული ბანკი არ ახორციელებდა ინტერვენციას: არც უცხოურ ვალუტას ყიდულობდა და არც ქართულ ლარს. ბოლო 10 წლის განმავლობაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ეროვნული ბანკი უცხოური რეზერვების გაზრდას ვერ ახერხებდა. საერთოდ, ბოლო წლებში ლარის მკვეთრი გამყარების ტენდენცია შეიმჩნეოდა იმიტომ, რომ უცხოური ვალუტა დიდი რაოდენობით მიეწოდებოდა, მაგრამ შარშან, დეკემბერში, ლარის დევალვაცია დაიწყო. მისი მკვეთრი დაცემის თავიდან ასაცილებლად ეროვნულ ბანკს მარტო დეკემბერ-იანვარში 470 მილიონი დოლარის გაყიდვა დასჭირდა, რითაც ლარის მკვეთრი ვარდნა გააჩერა. ეს გამოწვეული იყო ლარის დევალვაციის თავიდან აცილების მცდელობით და კიდევ — ბიუჯეტის არასწორი დაგეგმვით.

— ბატონო რომან, რას გულისხმობთ „ბიუჯეტის არასწორ დაგეგმვაში“?

— ხარჯების დიდი რაოდენობა გაწეული იყო ნოემბერ-დეკემბერში და სწორედ მაშინ ბიუჯეტი 600 მილიონი ლარით გაირღვა, მთავრობამ დახარჯა ფულის ნაშთი, რომელიც მას ჰქონდა ეროვნული ბანკის ანგარიშზე, ანუ დახარჯა წინა მთავრობის მიერ დაგროვილი ფული - დაახლოებით 1 მილიარდი ლარის ოდენობით. ჩვენი ვალუტის დიდი რაოდენობით მიწოდებამ ლარის დევალვაცია და რეზერვების მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია. სხვათა შორის, რასაც ახლა გეუბნებით, იგივე ითქვა საერთაშორისო-სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს სხდომაზე, რომელიც წინა კვირაში გაიმართა. რადგან მთავრობა განიცდის სავალუტო შიმშილს, საქართველოს მთავრობას გამოეყო 154 მილიონი დოლარის ოდენობის სესხი. სწორედ ამ სესხის გამოყოფისას ითქვა, რომ აღარ უნდა განმეორდეს ის, რაც მოხდა - ეროვნული ბანკის რეზერვების შემცირება არ უნდა გახდეს ეროვნული ვალუტის დევალვაციის მიზეზი. წინა კვირაში კიდევ ერთი სასიამოვნო ფაქტი მოხდა: ეროვნულმა ბანკმა ზედიზედ ორჯერ შეისყიდა 20-20 მილიონი დოლარი, რაც იმას ნიშნავს, რომ დოლარის მიწოდება არის ჭარბი და ამის გამო ლარმა გამყარება დაიწყო. ეროვნული ბანკის მიერ 40 მილიონი დოლარის შესყიდვას მოჰყვა ის, რომ ამ ეტაპზე აშკარად აღინიშნება ლარის გამყარების ტენდენცია, რაც, უწინარესად, სეზონური ფაქტორითაც არის განპირობებული — კერძოდ, ტურისტული შემოსავლების ზრდით. ლარის გაუფასურება გამოწვეული იყო ინესტიციების შემოდინების დაბალი ტემპითაც. ინფრასტრუქტურული პროექტები საქართველოში შეფერხებით მიმდინარეობდა, რის გამოც კერძო სექტორში ვერ შემოდიოდა ინვესტიციები და უცხოური ვალუტა.

— ჩვენს საზოგადოებას, ბუნებრივია, აწუხებს შემდეგი კითხვა: ლარის გამყარების პროცესი მომავალშიც გაგრძელდება?

— ამის განსაზღვრა წინასწარ ძნელია, თუმცა, გაგრძელდება თუ არა ლარის გამყარება მომავალში, ორ რამეზეა დამოკიდებული: როგორი იქნება ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინება მას შემდეგ, რაც ტურისტული სეზონი გადაივლის და მეორე: შეძლებს თუ არა მთავრობა ბიუჯეტის თანაბარზომიერ ხარჯვას და საბიუჯეტო შემოსავლების სრული ოდენობით მობილიზებას. ფაქტია, რომ სასტარტო მდგომარეობა დღესდღეობით ძალიან კარგი გვაქვს. ზოგიერთები რატომღაც საფრთხედ მიიჩნევენ ლარის გამყარებას, რაც ჩემთვის მიუღებელი აზრია. ჩვენ უნდა ვიცოდეთ: საქართველო არის ქვეყანა, სადაც ინფლაციის მუდმივი საფრთხე არსებობს. ამიტომ, თუ ეროვნული ვალუტა მყარდება, ეს მისასალმებელია. ამავე დროს, სეზონური ინფლაცია საშიში არ არის, მაგრამ ყოველთვის გამოჩნდებიან ვაიეექსპერტები, რომლებიც ლარის გამყარებისას განგაშს ისევე ატეხენ, როგორც მისი გაუფასურებისას. რა თქმა უნდა, ჩნდება ეჭვი — ტურისტული სეზონი რომ ჩაივლის, ისევ ლარის გაუფასურება ხომ არ დაიწყება? — ეს ორ რამეზეა დამოკიდებული: მთავრობამ ზამთრის მოახლოებამდე უნდა მოასწროს ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის თანხის გამოყოფა და ბიუჯეტის დროული შესრულება, მეორე მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანია ინვესტიციების შემოდინება. მათი შემოსვლის მთავარი წყარო კი პოლიტიკური სტაბილურობაა. დღეს საქართველოში სრულიად საპირისპირო ფონია: ქვეყანა ვერ დამშვიდდა და ვერ შეიქმნა ნორმალური ფონი ბიზნესის განვითარებისთვის. ჩვენს ეკონომიკაზე, რა თქმა უნდა, საგარეოპოლიტიკური პროცესებიც მოქმედებს: მათ შორის, რუსეთსა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენები, რადგან ორივე ეს ქვეყანა ჩვენი მთავარი პარტნიორია. მიუხედავად ყველაფრისა, ლარის გამყარების ტენდენცია აშკარაა და ეს დადებითი პროცესია. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ინვესტიციების შემოდინებაზე. ჩემი აზრით, საქართველოსთვის ტურიზმის განვითარებასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. არსებობენ ქვეყნები, რომლებსაც წარმოება საერთოდ არა აქვთ, მაგრამ ტურიზმის სექტორი მათთვის უცხოური ვალუტის სერიოზული წყაროა. ასეთი ქვეყანაა, მაგალითად, კვიპროსი. ტურიზმი უნდა გახდეს ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი. იმისათვის, რომ ეს სფერო წინ წავიდეს, ჩვენთან უცხოური ვალუტაც შემოვიდეს და ლარიც სტაბილური იყოს, საქართველოსთვის მშვიდი და სტაბილური ქვეყნის იმიჯი აუცილებელია.

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ რაც კარგია, კარგია!

რის ხარჯზე გაიზარდა „ბორჯომის“, „ლიკანის“, „ნაბეღლავის“ ექსპორტი?

ქართული მინერალური წყლების ექსპორტი, ერთი წლის განმავლობაში, 63,6%-ით არის გაზრდილი

ძართული მინერალურ წყლები მთელ მსოფლიოში მოწონებით სარგებლობს, მას სიამოვნებით მიირთმევდნენ და დღესაც მიირთმევენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. განსაკუთრებით მატულობს ამ პროდუქციის რეალიზაცია ზაფხულობით და ეს არავის უკვირს, უფრო მეტიც — მეწარმეები ამ სეზონისთვის საგულდაგულოდ ემზადებიან. ნინო ანთიძე მცირე მაღაზიის მფლობელია და უკვე შეჩვეულია, რომ ზაფხულის მოსვლისთანავე თავის მაღაზიაში დიდი რაოდენობით მინერალური წყალი უნდა მოიმარაგოს: „ივნისი რომ მოდის, უკვე ვიცი, რომ მინერალური წყლების გაყიდვა მოიმატებს. ხუმრობით ზაფხულს მინერალური წყლების სეზონსაც კი ვეძახით. განსაკუთრებით კარგად იყიდება ქართული მინერალური წყლები წელს, ალბათ იმიტომ, რომ ძალიან ცხელა. ტრადიციულად, ყველაზე დიდი რაოდენობით „ბორჯომი“, „ნაბეღლავი“ და „ლიკანი“ იყიდება, ამას მოსდევს „საირმე“, „ფლატე“ და სხვა მინერალური წყლები, რომლებიც ჩვენს ბაზარზე შედარებით მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი, თუმცა, მათ თავისი მყიდველი ჰყავს.

წელს, პირველ კვარტალში, მნიშვნელოვნად მოიმატა ჩვენი მინერალური წყლების ექსპორტის მაჩვენებელმაც. ბოლო წლებში, რუსული ემბარგოს მოხსნის შედეგად, ამ სფეროში ზრდის ტენდენცია აშკარად იკვეთებოდა, მაგრამ წელს ეს ზრდა განსაკუთღებით თვალშისაცემია. კერძოდ, ქართული მინერალური წყლების ექსპორტი, ერთი წლის განმავლობაში, 63,6%-ით არის გაზრდილი - ამის თაობაზე ინფორმაცია „საქსტატმა“ გაავრცელა: „საქსტატის“ მონაცემებით, 2014 წლის იანვარ-ივნისში უცხოეთის ბაზრებზე 72,6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ქართული მინერალური წყალი გავიდა, 2013 წლის ანალოგიურ პერიოდში კი — ამ მაჩვენებელმა 44,359 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საექსპორტო პროდუქციაში მინერალურ წყლებს მეოთხე პოზიცია უკავია. მისი წილი კი მთლიან ექსპორტში ერთი წლის განმავლობაში 3,6-დან 5,1 პროცენტამდე გაიზარდა.

ექსპორტის ზრდაზე საუბრობენ მინერალური წყლების მწარმოებელ კომპანიებშიც. კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ წარმომადგენელთა თქმით, დღეისათვის „ბორჯომი“ მსოფლიოს 40 ქვეყანაშია წარმოდგენილი. ამ ქვეყნებს შორის არიან დსთ-ს სივრცეში შემავალი ქვეყნები და ისეთი შორეული სახელმწიფოები, როგორიცაა: ბელგია, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი, აშშ, კანადა, იაპონია, ჩინეთი, შვეიცარია, ლუქსემბურგი და ა.შ... თუმცა, ამ ქვეყნებიდან კომპანია „ბორჯომის“ პროდუქციის ექსპორტი ყველაზე დიდი რაოდენობით მაინც დსთ-ს სივრცეში ხორციელდება. კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა **ნიცა ჩოლოყაშვილმა** bpn.ge-სთან საუბრისას აღნიშნა:

— ბოლო ხანებში მინერალური წყლების რეალიზაცია და ექსპორტი მართლაც საგრძნობლად გაიზარდა, რაც ძირითადად რუსეთის ბაზრის გახსნამ განაპირობა. ცხადია, სწორედ ამ მიზეზით, ჩვენი კომპანიის საექსპორტო მაჩვენებლებიც გაიზარდა: დაახლოებით 10-15-პროცენტიანი ზრდა ყველა სტრატეგიულ ბაზარზე გვაქვს. თუმცა ამ მაჩვენებელს, გასულ წელს ახალი ბაზრის — რუსეთის გახსნაც დაემატა. შესაბამისად, ზრდის მაჩვენებელი სერიოზულად მატულობდა მთელი 2013 წლის განმავლობაში. ალბათ, ეს ტენდენცია 2014 წელსაც გაგრძელდება. რაც შეეხება ჩვენს გეოგრაფიულ არეალს, ამჟამად „ბორჯომი“ მსოფლიოს 40 ქვეყანაში გადის ექსპორტზე, მაგრამ დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნები მაინც ჩვენი სტრატეგიული ბაზრებია. ყველა ამ ქვეყანაში „ბორჯომი“ ნომერ პირველი ბრენდია გაყიდვების მიხედვით. ქართული მინერალური წყალი ლოკალურ ბრენდებსაც კი უწევს სერიოზულ კონკურენციას. რაც შეეხება აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებს, აზიასა და ამერიკას, ამ ქვეყნებში „ბორჯომი“ ძირითადად ეთნიკურ ბაზარზეა წარმოდგენილი.

მინერალური წყლის ექსპორტის ზრდაზე საუბრობენ „ნაბეღლავის“ მწარმოებლებიც. ცნობილია, რომ „ნაბეღლავი“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იყიდება და ქართულ ბაზარზეც საკმაოდ მძლავრად არის წარმოდგენილი. მათი კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის ექსპორტის მატებაზე გვესაუბრება **ვიქტორია შიშკო**— კომპანია „წყალი მარგებლის“ პიარმენეჯერი:

— როდესაც ვსაუბრობთ ჩვენს კომპანიაზე, ის ამ მხრივ გამორჩეული სულაც არ არის: ფაქტია, რომ „ნაბეღლავის“ ექსპორტიც საგრძნობლად გაიზარდა. რა თქმა უნდა, ეს მრავალწლიანი გამოცდილებისა და აქტიური მუშაობის შედეგია და ჩვენ ამას მოველოდით კიდეც. ჩვენს კომპანიაში წარმოებული გაზირებული მინერალური წყალი „ნაბეღლავი“ მოწონებით სარგებლობს არა მარტო ქართულ, არამედ უცხოურ ბაზრებზეც. აქვე უნდა გაგიმხილოთ, რომ რუსეთის ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე არაერთ კომპანიას აინტერესებს, სულაც არ არის ჩვენი ექსპორტის ზრდის მთავარი მიზეზი. მოგახსენებთ, რომ ამ ბაზრის წილი ჩვენს პორტფელში საკმაოდ მცირე ოდენობისაა: რუსეთში ჩვენ ახალი შესულები ვართ და ამ ბაზარს ძალზე ფრთხილად ვეკიდებით. ეს ჩვენთვის უფრო დამატებითი ბაზარია, სადაც შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს სიტუაცია. „ნაბეღლავი“ გადის დაახლოებით 20 ქვეყანაში. ვინაიდან ახლა წლის შუა პერიოდია, რთული იქნება ჩვენი პროდუქციის ექსპორტის ზრდის ზუსტი ასახვა. წლის ბოლოს, შემაჯამებელ დოკუმენტში აისახება კომპანია „წყალი მარგებლის“ საქმიანობის კონკრეტული შედეგები და გბირდებით, რომ ამ მაჩვენებლებს სრულიად ქართულ საზოგადოებას გავაცნობთ.

ნინო ნაკაშიძე

◎ ალიანჩალიანი

მიკროავტობუსის მძღოლების მიმართ ადმინისტრაციული ზომები გატარდება

კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ სამარშრუტო ტაქსის მძღოლებისთვის კონდიციონერის ჩაურთველობის გამო, ადმინისტრაციულ ზომებს ამკაცრებს.

„თბილისის მიკროავტობუსი“ სეზონის დადგომასთან ერთად ყოველწლიურად საკუთარი სახსრებით არემონტებს კონდიციერების სისტემას ყველა მიკროავტობუსში. თუმცა მძღოლები უარს ამბობენ კონდიციერების სისტემის ჩართვაზე, რადგან აღნიშნული დაკავშირებულია ფინანსებთან, კერძოდ, მძღოლს უწევს დამატებითი ხარჯების გაწევა საწვავზე. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მძღოლებს მგზავრთნაკადის შემცირების გამო უწესებს საზაფხულო მოსაკრებელს, ანუ უმცირებს გადასახადს, მძღოლები კონდიციერებას მაინც არ რთავენ“.

პირველი სანქცია გაფრთხილება იქნება, შემდგომ დარღვევაზე კი, მძღოლი ორი კვირის განმავლობაში აღარ იმუშავებს მიკროავტობუსის ხაზე, მესამე შემთხვევაში კი მძღოლს გაუუქმდება კონტრაქტი კომპანიასთან.

ინტერპრესი

კაზანტიპამდეც მივედით!

◎ ალიან-ჩალიანი

ვინც უკანონო ნებართვის მიღებაში ფული გადაიხადა, პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს, თუ იზარალებს

თბილისის საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატებმა ალექსანდრე ელისაშვილმა და დავით ზურაბიშვილმა გუშინ საბურთალოს რაიონის ის ადგილები მოინახულეს, სადაც მათი შეფასებით, უკანონო სამშენებლო ნებართვებია გაცემული.

დეპუტატები საბურთალოს გამგებელ ბექა მიქაუტაძესთან ერთად მიცკევიჩის, ონიაშვილის, ასათიანის ქუჩებზე დაგეგმილი მშენებლობების ადგილას მივიდნენ და მოსახლეობას შეხვდნენ. დაგეგმილია სხვა ქუჩებზე მისვლაც.

მიცკევიჩის №27-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებლობის დაწყების ნებართვა გაცემულია რამდენიმე საცხოვრებელ კორპუსთან დამაკავშირებელ ერთადერთ გზაზე. ონიაშვილის ქუჩაზე, ე.წ. კერძო სახლებს შორის რამდენიმესართულიანი კორპუსი შენდება. როგორც მოსახლეობა განმარტავს, გაცემული ნებართვის მიხედვით, დარღვეულია სამშენებლო კოეფიციენტი, სამშენებლო სამუშაოები კი, მიმდებარე სახლებს აყენებს ზიანს. ასათიანის ქუჩის მცხოვრებლები ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ეზოში მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობას აპროტესტებენ. მათი განცხადებით, გაიჩეხა ფიჭვნარი, დაგეგმილი რვა, 30-სართულიანი კორპუსის მშენებლობა კი, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კორპუსებს უქმნის საფრთხეს.

როგორც აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით საბურთალოს გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ განმარტა, მოხდება გაცემული სამშენებლო ნებართვების კანონიერების შესწავლა, მათი რევიზია და დარღვევის შემთხვევაში, რეაგირება. ამასთან, გამგებელმა ხაზგასმით, აღნიშნა, რომ „არც ერთ პატიოსან მშენებელს პრობლემა არ შეექმნება“.

წელს ავტოსაგზაო შემთხვევებს 180 ადამიანი ემსხვერპლა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ავარიების დროს ყველაზე მეტი ადამიანი თბილისში გარდაიცვალა. კერძოდ, 2014 წლის იანვარ-ივნისის თვეებში საქართველოში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და შსს სამხარეო მთავარი სამმართველოების მიერ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს რეგისტრირებულია 180 გარდაცვლილი პირი, მათ შორის კახეთში — 22; ქვემო ქართლში — 19; შიდა ქართლში — 22; სამცხე-ჯავახეთში — 3; იმერეთსა და რაჭაში — 32; სამეგრელო-ზემო სვანეთში — 16; აჭარაში — 11; გურიაში — 2; თბილისში — 46; მცხეთაში — 7.

ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტრო სტატისტიკას ავტოსაგზაო შემთხვევების შესახებაც ავრცელებს. კერძოდ, 2014 წლის იანვარ-ივნისის თვეებში საქართველოში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და შსს სამხარეო მთავარი სამმართველოების მიერ რეგისტრირებულია 2557 ავტოსაგზაო შემთხვევა. მათ შორის, კახეთში — 139, მცხეთაში — 75, ქვემო ქართლში — 204, შიდა ქართლში — 185, სამცხე-ჯავახეთში — 65, იმერეთსა და რაჭაში — 263, სამეგრელო-ზემო სვანეთში — 167, აჭარაში — 197, გურიაში — 16, თბილისში კი — 1246.

ინტერპრესი

პარბა ხანია, ევროკავშირისა და აშშ-ს სენატორების შეშფოთება არ მიკვირს. ისე ხშირად შფოთავენ ჩვენს შინაურ, საოჯახო საქმეებზე, რომ ერთი კვირა თუ გავიდა ისე, რომ მათი შეშფოთება ვერ დავინახე, ის მაშფოთებს სწორედ. ლობიოს კერძს ნიახურსა და მარილს რატომ აკლებთ, ჩაქაფულს წიწაკას ზედმეტს უშვებით, მწვადს წალამზე ნუ წვავთო და ვინ იცის კიდევ რა არ აშფოთებთ ამ ჩემ.....კეთილდღეობაზე მზრუნველებს. მე, პირადად, სულ ფეხზე მკიდია, რაზე შფოთავენ მაკკეინი და მისი ამფსონები, მაგრამ ის კი მაწუხებს, რომ ჩემი ხელისუფლების მაღალჩინოსნები, რომლებიც ქვეყნისა და ხალხისათვის საარსებო საკითხების გადაწყვეტისთვის უნდა ირჯებოდნენ, მთელ დროს იმას ახმარენ, მორიდებით როგორ აუხსნან ოკეანის გაღმელ თუ გამოღმელ შეშფოთებულებს ის, რის შესახებაც კითხვას არც წარსულში და არც ახლა დასვამდა ჭკუათმყოფელი, მასზე პასუხის გასაცემად კი თავმოყვარე კაცი არც არასოდეს შეიწუხებდა თავს.

ეჰ, თავმოყვარეობა სად არის, ნეტავ?! შორეულ თუ ახლო მეზობელს იმის უფლებას როგორ მივცემ, ჩემს საოჯახო სამზარეულოში ჩემი ცოლისა თუ დედის საქმიანობაში ჩაერიოს და პრეტენზიები წაუყენოს მათ. ასეთი ვინმე ჩემს სამეზობლოში, ცხადია, არ მოიძებნება; ეს ისე ვთქვი, მაგალითისთვის, რადგან ძალიან უპრიანად მომეჩვენა შეშფოთებულ ამერიკელ სენატორებთან გულისტკივილის გამოსახატავად.

ტანი მიგრძნობს, ვიღაც „ქვეშეშფოთებული“ მეტყვის: ნუთუ არ გაგიგონია ქართული ანდაზა — „ბატონს ეურჩებოდე, დღე გიმოკლდებოდესო“. გამიგონია, როგორ არა, ჩემო თანამემამულევ, მაგრამ ეგ ანდაზა იმდროინდელია, როცა ბატონს „პირველი ღამის“ უფლება ჰქონდა. ახლა თუ იმდროინდელ ანდაზებს მივყევით, კარგად გვქონია საქმე! არა და, შენნაირების სიმრავლის გამო, მართლაც მივყვებით! აბა, ასე თუ არ არის, როგორ დაუშვა ჩვენმა ხელისუფლებამ კაზანტიპის ფესტივალი ანაკლიაში?

ასეა და უარესადაც! მაშინდელი ბატონი თავისი ერთი ყმის ახლადმოყვანილ ცოლს აუპატიურებდა, ახლანდელი ჩვენი დასავლეთელი პატრონები (თუ ბატონები!) მთელი ერის გაუპატიურებას ცდილობენ. ჩვენი ხელისუფლება კი ოკეანისგაღმელი „დამრიგებლებისა“ და მათი აქაური ხელის ბიჭების შიშით, ხალხის გაღვიძებას არ აპირებს, პირიქით, წყალწყალა სუპში ბანგსაც ხშირად ურევს.

ერთმა ყოფილმა (თუ ახლანდელმა!) „ერის ბელადმა“ მაღალჩინოსნების ფანტასტიკური ხელფასების აუცილებლობა ასე აგვიხსნა: მაღალ ხელფასებს იმიტომ ვინიშნავთ, რომ კორუფციაში არ ჩაეფლონ და ვინმეზე დამოკიდებულნი არ იყვნენო. მერე, რა გამოვიდა აქედან? ჩვენი მთავრობა დამოუკიდებელი გახდა? დამოუკიდებელი კი არა, ევროვიღაცა ბოროზომ თუ ფულემ ერთი რომ დაცხიკონ, ამათ შიშით გულები ელევათ და ერთმანეთს ასწრებენ „ხეირისა“ და „ჯანმრთელობის“ ძახილს. ვაი მაშინ, თუ შემოუბღვირეს. მაშინვე თავზე ნაცარს წაიყრიან და ტირილ-სლუკუნით შეჰღაღადებენ ევროპატრონებს: ნუ გაგვირისხდებით, თქვენი ჭირიმეთ, ჩვენც ევროპელები ვართ, ნამდვილი ევროპელები და ევროპელებზე უარესებიცო.

ახლა ვინმე „გულკეთილი“ კაცი მეტყვის: ეგრე მკაცრიც ნუ იქნები, ხომ იცი, პატარა ერისა და ქვეყნის ხვედრი ეგეთია, ძლიერს უნდა დაემორჩილოსო.

კი ბატონო, ძლიერის სიძლიერე უნდა აღიარო და იქნებ მისი ვასალობაც იკისრო, მაგრამ ეს ღირსების დაკარგვას როდი ნიშნავს. უღირსებო კაცი არც ვასალად უნდოდეს, იქნებ, სიუზერენს. უღირსებოს ხვედრი მონობაა, მონობაში ყოფნა კი ნაზრახი სიცოცხლეა მხოლოდ. სწორედ ამგვარ სიცოცხლეზე გვითხრა დიდმა რუსთაველმა: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“ . აღარ გვინდა ვიწამოთ რუსთაველის შეგონება და ხელი ავიღოთ ღირსეულ სიცოცხლეზე? ეს გვინდა, განა?

მართლაც, ანაკლიაში თუ კაზანტიპის ფესტივალი გაიმართა, მაშინ ჩვენი ქართველობა, დიდი ალბათობით, ეჭვქეშ დადგება. არა მგონია, ჩვენს ხელისუფლებას ეს არ ესმოდეს, მაგრამ კაზანტიპზე რომ უარი თქვან, დასავლელი ლიბერალები და აქაური ლიბერასტები შეშფოთდებიან და იმის ეშინიათ, ე, მანდ, დემოკრატიის ღალატი და რუსეთის მოკავშირეობა არ დაგვწამონო (რუსეთმა ხომ პედერასტების პროპაგანდა აკრძალა, რაც დიდ „ცოდვად“ ჩაუთვალეს ჩვენმა ევროპელმა დამრიგებლებმა!).

ვინმე ღირსეული კაცის ღირსეულ საქციელს რომ წავაწყდები ხოლმე, თუნდაც უცხოტომელი იყოს იგი, იმედი მეძლევა, იქნება ჩვენშიც გამოჩნდნენ-მეთქი ასეთი კაცები, აი, ამას წინათ, სწორედ ასეთი კაცების კაცური ქცევის მოწმენი გავხდით (ჩვენც და ჩვენთან ერთად მთელი მსოფლიოც)...

ისრაელსა და პალესტინას შორის გაღვივებულ კონფლიქტში ვინ მართალია და ვინ მტყუანი, მე არ ვიცი, ის კი ყველამ იცის, რომ ღაზის სექტორში უკვე ბევრია დაღუპული, ისრაელს ამჯერად მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს სამხედრო თვალსაზრისით და, ამიტომ, არაბების დანაკარგები ბევრად მეტია. როგორც ჩანს,

ხალხო, თვალი გაახილეთ, გაუპატიურებენ!

აშშ-სა და ევროკავშირს ამჯერად არ აწყობთ მთელ არაბულ სამყაროში ანტიამერიკული და ანტიევროპული უკმაყოფილების ზრდა და გადაუწყვეტიათ ისრაელის შეჩერება (ისრაელი არაბულ სამყაროში აშშ-ს სატელიტად ითვლება!). ჯერ იყო და ამის თაობაზე აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა ესაუბრა ნეთანიაჰუს. ამ უკანასკნელმა კი თავისი სტრატეგიული პარტნიორის ინტერესებზე მაღლა თავისი ეროვნული ინტერესები დააყენა და ხალხურ ენაზე თუ ვიტყვი, არ დაუჯერა „დიდ ბატონს“. მერე კი, დანიის, შვედეთის, ჰოლანდიის ელჩები და დიდი ბრიტანეთის, იტალიის, უნგრეთის, ავსტრიის და გერმანიის ოფიციალური წარმომადგენლები ისრაელის პარლამენტის (ქნესეთის) დეპუტატებს შეხვდნენ, რა უთხრეს ევროპელმა ემისრებმა „ისრაელელებს, ეს არ არის საინტერესო. საინტერესო ის არის, რა პასუხი გასცეს მათ ქნესეთში! ებრაელმა დეპუტატმა **იოველ ჰასონმა** განუცხადა: **„ნატომ კოსოვოში 5 ათასი მშვიდობიანი მოსახლე დაბომბა; ერაყში შეჭრისას ამერიკელთა ხელით 27 ათასი ერაყელი დაიღუპა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ვითომ საფრთხეს უქმნიდნენ აშშ-ს, ახლა კი თქვენ შეიჭერით უკრაინაში და იქ ფაშისტებს აქეზებთ, ომს აწარმოებთ სამხრეთ-აღმოსავლეთში. ვფიქრობთ, რომ თქვენ ბრიყვები ხართ! ეს ზღაპრები დაბეჩავებულ ევროპას მოუყევით!“**

იოველ ჰასონი:

„ნატომ კოსოვოში 5 ათასი მშვიდობიანი მოსახლე დაბომბა; ერაყში შეჭრისას ამერიკელთა ხელით 27 ათასი ერაყელი დაიღუპა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ვითომ საფრთხეს უქმნიდნენ აშშ-ს, ახლა კი თქვენ შეიჭერით უკრაინაში და იქ ფაშისტებს აქეზებთ, ომს აწარმოებთ სამხრეთ-აღმოსავლეთში. ვფიქრობთ, რომ თქვენ ბრიყვები ხართ! ეს ზღაპრები დაბეჩავებულ ევროპას მოუყევით!“

აი, თავმოყვარე და პატრიოტი კაცის პასუხი თავლაფდასხმულ და უღირსებო მრჩეველებს.

აქ, ჩვენთან კი, პარლამენტში ნაცდეპუტატები (ანუ ნაცბანდა!) კატეგორიულად მოითხოვენ, ჩვენც დავუწესოთ სანქციები რუსეთს, როგორც ეს ევროკავშირმა გააკეთაო, ამის მომთხოვნი „გვამები“ სურამის ერთ დაწესებულებაში უნდა გაეგზავნა (ძალით, ცხადია!), ჰუმანიზმზე თუ დებდა თავს ჩვენი ხელისუფლება. ამის მაგივრად, მათ სერიოზული ახსნა-განმარტებები დაიწყეს: იმიტომ ვერ ვუწესებთ სანქციებს, რომ ევროკავშირის წევრები არ ვართო. ევროკავშირის წევრები რომ ვიყოთ, მაშინ ჰოო...

ვის უნდა დაუწესოთ სანქციები, თქვე რძენწყენებო! ან როგორი სანქციები გაქვთ უზურში? ისეთი ხომ არა სამტრედიის ყოფილმა პრეფექტმა და ახლანდელმა პარლამენტის წევრმა ზვიად ძიძიგურმა რომ დაუწესა რუსეთს (სამტრედიაში გაჩერებული რუსეთში მიმავალი სატვირთო უშელონი რელსებზე მიადუღებინა და რუსეთის ეკონომიკას ბლოკადა გამოუცხადა!).

ვაი, თქვენს პატრონს!

ძიძიგურებისა და მისნაირი ეროვნულ მებლოკადეების „მოღვაწეობის“ შედეგად საქართველოს აღარც ეკონომიკა აქვს და, შესაბამისად, აღარც პოლიტიკა, სხვისი ხელის შემყურე და გამათხოვრებულია. აი, ბელორუსიამ, რომელმაც არც ბლოკადა გამოუცხადა ვინმეს, „დიქტატორი“ ლუკაშენკოც ტაშისკვრით აირჩია და არც ის უმტკიცებია, **ბელორუსია ვარ, მაშასადამე ევროპა ვარო,** მაგრამ ეკონომიკაც სრულად შეინარჩუნა და განავითარა, არც საგარეო ვალი აქვს (ჩვენი ვალი 12 მილიარდ დოლარზე მეტია!) და არც „ტანკში“ უძვრება ვინმეს და ვერც ფეხებს მოსჭამს ვინმე (მათ შორის, ჩვენი „ჩე-გევარები“ და ძია სემის „ტანკში“ შემძვრალი „რევოლუციონერები“!).

გაიღვიძეთ, თანამემამულენო! ჩვენი გაუპატიურება უკვე დაწყებულია.

გონებრივი გაუპატიურება უკვე აშკარაა. იმ „საგანმანათლებლო“ რეფორმამ ქნა ეს, რაზეც სამწუხაროდ, უშედეგოდ ვყვირით, ჩვენი სახალხო განათლება სახალხო დაბნელებას ისახავს მიზნადო, არ ისმინეს და, ა, ბატონო შედეგი: ამას წინათ ერთმა ქართულმა ტელევიზიამ ასეთი გამოკითხვა ჩაატარა: თბილისში, ცენტრალურ ქუჩებსა და მოედნებზე ახალგაზრდებს (20-30-წლიანებს) ასეთი შეკითხვა დაუსვეს: მონღოლეთმა 200 მეტრით გადმოსწია საზღვარი და საქართველოს მიწა მიითვისა. როგორ ფიქრობ, მონღოლეთი წამოვა მშვიდობიან მოლაპარაკებაზე, თუ ომი გარდაუვალიაო.

როგორ ფიქრობთ, რა უპასუხა „ახალგაზრდა საქართველომ“? ასიოდე გამოკითხულიდან მხოლოდ ერთმა თქვა, საქართველოსა და მონღოლეთს საერთო საზღვარი არ აქვსო (ალბათ, გეოგრაფიის მაგისტრის ან დოქტორის ხარისხის მქონე იყო!). დანარჩენებს მონღოლეთი და საქართველო მოსაზღვრე ქვეყნები ჰგონიათ.

ამ მდგომარეობაში მყოფ ხალხს (და სწორედ ახალგაზრდობაზეა მიმართული დასავლეთის „გარდამქმნელი“ ძალისხმევა) შეგიძლია ისე მოექცე, როგორც მძინარეს, თუ გინდა გააუპატიურებ კიდეც, რასაც ცდილობენ კიდეც დასავლეთელი კაზანტიპელები.

რა გვეშველება, არ ვიცი, ხალხი ვერც პატრიარქის არაერთგზის მოწოდებებმა გამოაღვიძა, ვერც ფხიზელი ქართველების ღაღადისმა, რაც აგერ უკვე, ორი ათეული წელია, გრძელდება. აჰა, უკვე კაზანტიპამდეც მივედით!

რა გვინდა, ხალხო? კავკასიაში გარყვნილ, თახსირ, უღირსებო ხალხად ვიქცეთ? ჩვენი შვილები და შვილიშვილები ისეთ „სიმპათიურ“ ბაყაყებად აღიზარდონ, როგორც ამას წინათ, ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარეობიდან გაპანღურებული ერთი ამერიკულად განათლებული ახალგაზრდაა?

ჰო და, თუ ეს არ გვინდა, თვალი გაახილეთ და დაინახავთ, რომ გვაუპატიურებენ სულიერად, გონებრივად და არც ფიზიკურად გაუპატიურება არის შორს.

ზურაბ ცუცქირიძე

როცა მცირენი იჭყლიტებიან!

◎ ალიან-ჩალიანი

სოფელ აკურაში სტალინის ბიუსტი ისევ დადგეს

ადგილობრივების ინფორმაციით, ბიუსტი სოფლის ცენტრში ორშაბათს, გვიან ღამით მათთვის უცნობმა პირებმა დადგეს.

სტალინის ბიუსტი ბოლო ორი წლის განმავლობაში აკურაში რამდენჯერმე დადგეს. რამდენიმე თვის წინ კი, ბიუსტს აქტივისტების ჯგუფმა საღებავი შეასხა, რის შემდეგაც იგი მოხსნეს. ახლა კი, უკვე რესტავრირებული მეორე მსოფლიო ომში დაკარგულთა სახელობის სკვერში დადგეს.

ნარკოტიკული ზედოზირებისას პოლიციას არ გამოიძახებენ

ეძიმს აღარ ექნება ვალდებულება, პაციენტის მხოლოდ ნარკოტიკული ზედოზირების შემთხვევაში პოლიციას აცნობოს.

პაციენტის ზედოზირების მდგომარეობის შესახებ სამართალდამცველ ორგანოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეწოდებათ ინფორმაცია, თუ სახეზეა დამატებითი გარემოებები, რომლებიც პოლიციისთვის ცნობის გადაცემას კანონით ისედაც ექვემდებარება. ესენია: ყველა ტრავმული და ტრავმაზე საეჭვო შემთხვევა, როცა პაციენტი იმყოფება უგონო მდგომარეობაში, ან ავადმყოფი მიუთითებს ნაძალადევ ქმედებაზე; უეცარი სიკვდილის ყველა შემთხვევა; ნაძალადევი სიკვდილის ყველა შემთხვევა; მოწამვლაზე საეჭვო შემთხვევა, როცა პაციენტი იმყოფება უგონო მდგომარეობაში, ან ავადმყოფი მიუთითებს ნაძალადევ ქმედებაზე; ქიმიური ან რადიაციული მოწამვლის ყველა და კვებითი ტოქსიკოინტოქსიკაციის ჯგუფური შემთხვევა; საავადმყოფოში გვამის მოყვანიდან, ან 24 საათში სიკვდილის ყველა შემთხვევა, თუ ის უკავშირდება ნაძალადევ ქმედებას.

შესაბამისი ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ნარკოტიკული ზედოზირების მდგომარეობა (თუ დამატებითი გარემოებები არ არის) პოლიციისთვის ცნობის მიწოდებას აღარ ექვემდებარება, „სამედიცინო დაწესებულებებიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებისათვის ოპერატიული ინფორმაციის მიწოდების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის ბრძანებაში შევიდა. „სამედიცინო დაწესებულებებიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებისათვის ოპერატიული ინფორმაციის მიწოდების შესახებ“ დოკუმენტში ცვლილებების შესახებ ბრძანება ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ გამოსცა.

...ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ყოფა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას სხვა ქვეყნებისადმი. აღმავალია ეკონომიკა და აღმავალია ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობაც. მტკიცეა ქვეყნის პოლიტიკური ყოფა და მტკიცეა მისი თავდაჯერებულობა ახალი ეკონომიკური სიმაღლეების დაპყრობისთვისაც.

ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა აღარ უნდა ცდილობდეს სხვათა დაჩაგვრას, არ უნდა ცდილობდეს ისეთი ღონისძიების გატარებას, სხვას რომ პრობლემებს შეუქმნის. პირიქით, წარმატებული ჩამორჩენილთან უნდა თანამშრომლობდეს მსოფლიო დოვლათის შექმნა-განვითარებისთვის.

დასავლეთის მიერ საბჭოთა კავშირისა და მისი სატელიტებისთვის ჩამოფარებული "რკინის ფარდის" მიღმა მყოფთათვის, ღობის გადაღმა ცხოვრება მარტო პროდუქტებით დახუნძლული მაღაზიებით იზომებოდა. საბჭოელთათვის განათებული მაღაზიების ვიტრინები ყოველთვის იწვევდა იქაურის მიმართ აღფრთოვანებას, თაყვანისცემას, საკუთარისადმი დამცინავი, ზიზღის თვალით შეხედვას.

„ღობის“ იქით არსებული სამყარო, უდავოდ იწვევდა ნებისმიერ ჩვენგანში იქაურთა ზედემოკრატიულობის, კეთილშობილების, ჰუმანურობის შეგრძნებას. ჩვენთვის ის საზოგადოება, მიუწვდომელი და საარაკო, ასეთად დარჩებოდა, რომ არა მსოფლიო ისტორიის ჩარხის სხვაგვარი დატრიალება. ეს ჩარხი 23 წელიწადია ტრიალებს და სულ ახალ-ახალ სიურპრიზებს გვთავაზობს - მანამდე უცხოს, ნებისმიერი ჩვენგანისთვის დაუჯერებელს.

დღეს, უკვე სხვაგვარად ვუყურებთ იქაურ ცხოვრებას, ვინაიდან „იქაური“ აქაური გახდა, დაგვიახლოვდა და თან ისე ჩაგვეხუტა, ლამის სული ამოგვხადოს. ჩახუტებით სუნთქვაშეკრულს თუ ამოსუნთქვის შანსი მოგვეცა, უმალ იმაზე ვფიქრობთ, სად არის ის ბედნიერება, რომელსაც „ღობის“ შიგნიდან ვუმზერდით? და თუ ის ბედნიერება ესაა, დღეს რომ ვცხოვრობთ, ძალიანაც შემცდარვართ.

დადებითის და უარყოფითის დადგენაში შემოგვეცალა 23 წელიწადი. არც სამომავლო ოპტიმიზმი იგრძნობა. ან რა ხვალინდელ ოპტიმიზმზეა ლაპარაკი, როდესაც დღეს ლუკმა-პურის შოვნა გიჭირს.

მსოფლიო კი, თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ „ღობეში“ მომწყვდეულებიც შევუერთდით იმ ცხოვრებას. კარგახსნილობამ, ინფორმაციის პერმანენტულობამ და გლობალიზაციის მოთხოვნებმა მკვეთრად შეცვალეს ჩვენი არსებობა. ჩვენ უკვე შევეგუეთ იმას, რომ ხალხის და ქვეყნის ხარჯზე გამდიდრებულები, კიდევ უფრო მდიდრდებიან, უმრავლესობა კი ღარიბდება.

კატასტროფულად მატულობს ზღვარი ერთ მუჭა მდიდრებსა და მილიონობით ღატაკს შორის. შევეგუეთ იმას, რომ არჩევნებში გაიმარჯვებს ის, ვისაც ფული აქვს. ისინი, ვისაც ფული აქვთ, ფულის კეთებასთან ერთად, პოლიტიკას მიჰყოფენ ხელს, ცხადია, საკუთარი სიმდიდრის დასაცავად.

დიდი ფული, დიდ პოლიტიკასაც ატრიალებს. ამერიკელი, ლიბერტარიანელი ძმები კოხები, რომლებიც მოითხოვენ ცსს (ცენტრალური საგადაზვერვო სამმართველოს) და ფბრ-ს გაუქმებას, პენსიებზე და გადასახადებზე უარის თქმას, პროსტიტუციისა და ნარკოტიკების ლეგალიზაციას, მიზნად ისახავენ „სოციალისტი“ ობამას განადგურებას. ამ ბრძოლაში ისინი არაფერს ერიდებიან.

ძმებმა გამოიყენეს თავიანთი მილიარდები ქვეყნის საბიუჯეტო კრიზისის პროვოცირებისთვის, რასაც გასული წლის ბოლოს ჰქონდა ადგილი. ძვირი დაუჯდა ეს პროვოკაცია ქვეყანას, მის ეკონომიკას და არა მარტო მას, არამედ მსოფლიოს. მაშინ პრეზიდენტი გადაურჩა შანტაჟს, თუმცა მის წინააღმდეგ გამოხდომები გრძელდება.

ჩვენთვის, „ღობის“ შიგნით მყოფთათვის, ეს რომ ეთქვათ, არ დავიჯერებდით, უმალ საბჭოთა პროპაგანდას მივაწერდით. არ დავიჯერებდით იმიტომ, რომ ვერ წარმოვიდგენდით, რაოდენ ჩახლართული, მრუდე, ფარისევლური, გაუტანელი ცხოვრების წესი არსებობდა ჩვენს გარე სამყაროში.

ჩვენ ნელ-ნელა ვხდებით მოწმენი იმ იშვიათი ისტორიული პერიოდისა, როდესაც მსოფლიო მოვლენები განისაზღვრება არა ხალხთა რაციონალური აზროვნებით, არამედ რაღაც მაგიური, უცნობი ძალით, რომელსაც მივყავართ ისეთ შედეგამდე, არავინ რომ იფიქრებდა. უკრაინის მოვლენები ამის დასტურია, განსაკუთრებით მალაიზიის თვითმფრინავის დაღუპვა. ნათელია, რომ ამ ამბმა აქტიურად ჩართეს რუსეთი დასავლეთთან კონფრონტაციაში. შანსი იმისა, რომ გაუძლოს გამოწვევას, გაცილებით ცოტა აქვს დღევანდელ რუსეთს, ვიდრე ეს ჰქონდა „ღობის“ შიგნით მყოფ საბჭოთა კავშირს.

მიუხედავად თავისი მანკიერებისა, საბჭოთა კავშირი მანათობელი ვარსკვლავი იყო პლანეტის გარკვეული ნაწილისთვის. მრავალი ქვეყნის ხალხი გულწრფელად ოცნებობდა ისე ეცხოვრათ, როგორც საბჭოთა კავშირში ცხოვრობდნენ. ბევრი რამ ხიბლავდა მას - ექსპლუატაციის არ არსებობა, უფასო განათლება და ჯანდაცვა, მოწინავე მეცნიერება, მაღალი სოციალური მობილურობა. ყოველივე ეს ალტერნატივა იყო კაპიტალიზმისთვის.

რუსეთს, მიუხედავად 14-წლიანი წინსვლისა, არ შეუძლია იმუამინდელი საბჭოეთის როლზე პრეტენზიის განცხადება. არც ის არის გასაკვირი, რომ მსოფლიოში მას არ ჰყავს იდეოლოგიური მოკავშირეები, რომლებიც მძიმე უამს დახმარების ხელს გაუწვდიან...

გაუაზრებელი ხარაკირი

„ღობის“ იქითა დემოკრატიის ნამდვილი სახე

რუსეთის ეკონომიკა, გაცილებით მგრძნობიარეა დასავლური სანქციების მიმართ, ვიდრე საბჭოთა ეკონომიკა. დასავლეთს შეუძლია რუსეთის წინააღმდეგ განავითაროს ეკონომიკური ზეწოლა, საფინანსო საერთაშორისო ბაზრიდან მოწყვეტა, თანამედროვე ტექნოლოგიების მიწოდებაზე უარის თქმა, რაც გამოიწვევს რუსული კომპანიების კაპიტალიზაციის დაძვეითებას, ყველა დონის ბიუჯეტის შემცირებას. რუსეთი, სულ უფრო ხშირად იძნება წარმოდგენილი მსოფლიოში, როგორც ბოროტების იმპერია.

სანქციებმა, გარდა პირდაპირი ეფექტისა, შეიძლება გამოიწვიოს ისეთი რამ, რაც კარგად არ წაადგება დასავლეთს, მსოფლიოს. როგორც ცნობილია, რუსეთის პრეზიდენტის პუტინის ეკონომიკური პროგრამა იყო ლიბერალური და მიმართული რუსეთის დასავლეთთან დაახლოებაზე: საერთაშორისო საფინანსო ცენტრის შექმნა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის ჩარჩოებში თანამშრომლობა, დასავლურ სტანდარტებთან რუსული ინსტიტუტებისა და ტექნოლოგიების დაახლოება. ამ პროექტის განსახორციელებლად შერჩეული იყო გუნდიც — ორიენტირებული დასავლურ ფასეულობებზე.

დღეს ვითარება კარდინალურადაა შეცვლილი. დასავლეთთან დაპირისპირებამ გამოიწვია სრულიად საწინააღმდეგო მოთხოვნა — **უარი ითქვას ეკონომიკის ლიბერალურ კურსზე**. და თუ ეს განხორციელდა, რას მოუტანს ეს მსოფლიოს?

საბჭოთა კავშირის დაშლიდან განვლილი წლები, სერიოზული ქარტეხილებით აღსავსე, ახალი გამოცდილების დაგროვების წლებიც იყო. სწორედ, ახალმა გამოცდილებამ ათქმევინა ბევრ ყოფილ საბჭოელს, რომ ნანატრი დასავლური დემოკრატია და სიკეთე მირაჟია; რომ იმ დასავლეთსაც უამრავი შავი ლაქა აქვს, რომელთა შორის გამოირჩევა დაუნდობელი ბრძოლა პირველობისთვის; ახალ-ახალი გასაღების ბაზრების მოპოვებისთვის, ერთმანეთის ჩაძირვისთვის, — ჩასაძირად, თუნდაც უსუსური საბაბის გამოძებნა - უკრაინის სუვერენიტეტი რომ ჰქვია და ა.შ.

მაინც რაში გამოიხატება უკრაინის ან ნებისმიერი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის სუვერენიტეტი? ან რა მტკიცება უნდა დამოუკიდებელი ქვეყნის სუვერენიტეტს? დამოუკიდებელი, ავტომატურად უნდა იყოს სუვერენული.

„ჩვენ არ შევეგუებით უკრაინის სუვერენიტეტის დაკარგვასო“, — აცხადებს ოფიციალური ვაშინგტონი.

ვინ აკარგვინებს 45-მილიონიან ქვეყანას სუვერენიტეტს? არც არავინ. სუვერენიტეტის დაკარგვა არ არის საბაჟო კავშირში შესვლა. რატომ არ იბღალება ევროკავშირის ასოცირებული თუ ნამდვილი წევრობით ქვეყნის სუვერენიტეტი და რატომ იბღალება საბაჟო კავშირში შესვლით?

როდესაც აშშ-ის პოლიტიკოსები, ყოველგვარი მორიდების გარეშე, ლამობენ, ცხვირთან მუშტის მიტანით, გაიძულონ იყო „სუვერენული“, ტრაგედიაა და არა მარტო პატარა საქართველოს, არამედ სუპერ ამერიკისთვისაც. სენატორების წერილი, გამოგზავნილი ჩვენი ბედშავი ხელისუფლებისთვის, ამის დასტურია.

სუვერენულს ვერ უწოდებს საკუთარ თავს ქვეყანა, რომელსაც საკუთარი დამნაშავის გასამართლებაც არ შეუძლია. სად იყვნენ ამერიკელი სენატორები 2008 წლის აგვისტოს ომის დასაწყისში, რატომ არ მიმართეს მათ წერილობით საქაკაშვილს? მოჩვენებითი „სუვერენიტეტისთვის“ ხომ არ დაიგეგმა საქართველო-უკრაინის 2008, 2014 წლების მოვლენები?

პოლიტიკა ეკონომიკისთვის და შებრუნებით წარმატებით არის გამოყენებული აშშ-ის ამჟამინდელი ადმინისტრაციის მიერ, თუმცა, მას არავითარი კავშირი არ აქვს არც დემოკრატიასთან და არც სიკეთესთან. ერთადერთი, რასთანაც მას კავშირი აქვს — ჰეგემონიზმია, მსოფლიოში მეტოქის გარეშე არსებობა.

პრეზიდენტი ობამა სიხარულით ხელებს იფშვნეტს — ეკონომიკური სანქციებით რუსეთის ეკონომიკას და მთლიანად ქვეყანას ვძირავო.

ვალში არც პრეზიდენტი პუტინი დარჩა. მის მიერ შემოღებულმა ანტისანქციებმა ევროკავშირისა და სხვა ქვეყნების ლამის მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ხილი დაალპოს.

ფუჭდება საქონელი, იძაბება ვითარება და რაც არანაკლებ საყურადღებოა ობამასთვის, იზრდება მისდამი უკმაყოფილება არა მარტო რუსეთში, არამედ „მოკავშირე“ ევროკავშირშიც! ვაშინგტონის დუდუკზე აცეკვებული ევროკავშირი ხვდება, რომ ამერიკული მუსიკის ჰანგები სულაც არ შეესაბამება საცეკვაო რიტმს, მაგრამ ცეკვავს, ვინაიდან სწორედ ის სუვერენიტეტი აქვს დაკარგული, რისთვისაც ესოდენ მწვავედ იბრძვის ამერიკა უკრაინაში.

უსახო და სუვერენიტეტდაკარგულმა ევროკავშირის ძვეძნებმა ვაშინგტონის დაძალებით სანქციები დაუწესეს რუსეთს. ეძსპერტთა აზრით, ამ ლონისძიებით რუსეთი დაახლოებით 100 მილიარდი დოლარის ზარალს იგემებს, მაგრამ თვით ევროკავშირიც — ზუსტად იმდენივეს. რა შეიძლება ეწოდოს ამას, თუ არა გაუაზრებელი ხარაკირი?

ობამას ემისრები ისეთ ქვეყნებს სტუმრობენ, რომლებსაც აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები აქვთ რუსეთთან. ვიზიტის მიზანი ერთია — ააღებინონ ხელი მათ მსგავს კავშირებზე. ობამამ პირადად შეაქო იაპონიის პრემიერ-მინისტრი, როდესაც ამ უკანასკნელმა სანქციები დაუწესა რუსეთს.

ამ გაუგებარ და ერთობ მზაკვრულ ჭიდილში მისასალმებელია საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება — არავითარი სანქციების დაწესება რუსეთის მიმართ. გაუძლებს ხელისუფლება „მეგობართა“ ზეწოლას? — მომავალი გვიჩვენებს.

მთელს მსოფლიოში მოხეტიალე სააკაშვილმა გააკრიტიკა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პოზიცია. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, სააკაშვილი რომ ყოფილიყო ხელისუფლებაში, რა დღეში ჩავარდებოდა რუსეთის მიმართ სანქციებდაწესებული საქართველო?

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პრაგმატული გადაწყვეტილება, უდავოდ იმსახურებს მხარდაჭერას, რამეთუ ამით თვით საქართველო გადაურჩა მოსალოდნელ ეკონომიკურ საფრთხეებს.

სხვანაირი ყოფილა ის დემოკრატია, რომელსაც „ღობის“ შიგნიდან ვუყურებდით. იმასაც ჰქონია ხარვეზები, თანაც როგორი. მაგრამ, რა გაეწყობა — ძველისკენ მიბრუნება შეუძლებელია, ისევ ახალში უნდა ვეძიოთ გადარჩენის გზა, თანაც ყოველგვარი კუდის ქიცინისა და სუვერენიტეტის დაკარგვის გარეშე.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ კანონპროექტი

ჯანსაღი ცვლილებები თუ კოსმეტიკური შელამაზება?

კანონპროექტი, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა, უკვე რამდენიმე თვეა, განხილვის საგნად იქცა.

როგორც „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელი რომან გოცირიძე აცხადებს, კანონპროექტში შესული ზოგიერთი ცვლილება საკამათოა, რადგან მათი ამოქმედდება გადასახადების დამალვას გამოიწვევს. „როგორც კი კანონში „საგადასახადო ხვრელები“ გაჩნდება, შემოსავლების დამალვის შესაძლებლობაც გაიზრდება“ — აცხადებს გოცირიძე, რომელიც დღგ-ს გადასახადზე დაწესებულ შეღავათებსაც უარყოფითად აფასებს, რადგან „ყველა ჩარევა პრეფერენციების სახით ანგრევს საგადასახადო კოდექსს და ძირს უთხრის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას“.

სრულიად განსხვავებული შეფასება აქვს მოსალოდნელ ცვლილებებზე „ჯორჯიან ბიზნეს ინსაიტის“ გენერალურ დირექტორს **ირაკლი ლექვინაძეს.** მისი აზრით, ეს ცვლილებები სავსებით მისაღებია, რადგან ბიზნესის ინტერესებს ითვალისწინებს.

— „ხარვეზი ნებისმიერ გადაწყვეტილებას შეიძლება მოვუძებნოთ, — ამბობს იგი, — **მათ შორის, იმ ნორმებსაც, რომლებიც დღევანდელ საგადასახადო კოდექსშია, თუმცა რა ცვლილებებიც შევიდა, ორივე ძალიან მნიშვნელოვანია: უსამართლობა იყო, როცა უცხოეთიდან მიღებული შეკვეთა და მისი უცხოეთში ექსპორტირება იბეგრებოდა დღგ-თი და მეორე - როდესაც უძრავი ქონება იყიდება ტურისტული მიზნებით, არ შეიძლება ის დაიბეგროს. ორივე ცვლილება ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი დანაზოგის წყარო იქნება - მათი წყალობით ბიზნესი შეძლებს შემოსავლის დიდი ნაწილი განვითარებისათვის გადადოს. არანაკლებ საყურადღებოა ზოგიერთი კომპანიის საურავებისა და ჯარიმებისაგან გათავისუფლება, რაც ქართული ბიზნესისთვის ძალიან მძიმე ტვირთი იყო. კომპანიები, რომლებსაც წლების განმავლობაში დაგროვილი დავალიანება აწევთ და ვერ იხდიან, შვებით ამოისუნთქავენ. მით უმეტეს, ზოგიერთი მათგანი გაჩერებულია, ზოგს კი — საურავებისა და დარიცხული ჯარიმების გადახდის თავი არა აქვს. 2005 წლამდე გადაუხდელი დავალიანება ეპატიება კომპანიას, თუ ის აღარ არის მოქმედი, ხოლო 2009 წლამდე შეღავათი შეეხება მხოლოდ საურავებს და ესეც მოსაწონია იმიტომ, რომ ხშირად კომპანიებს საურავი უფრო მეტი აქვთ, ვიდრე დავალიანება. მე ვამართლებ ამ ცვლილებებს, რომლებიც საგადასახადო კოდექსში შედის, სხვათა შორის, შეხვედრებზე ბიზნესმენებიც ამბობენ, რომ ეს მათთვის მისაღები ცვლილებებია.**

ქართულ საგადასახადო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა სერიოზული კამათი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია

თუ ფინანსური დისციპლინა არ იქნება, „საგადასახადო ხვრელები“ ყოველთვის წარმოიქმნება, ამიტომ ამის შიშით უარს ვერ ვიტყვით შეღავათებზე, რომლებიც ბიზნესის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. კარგი იქნება, თუ მთავრობა ბიზნესწრეების ინტერესებს უფრო მეტად და უფრო ხშირად გაითვალისწინებს.“

„მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებებით ვერაფერს გავხდებით“ — აცხადებს ეკონომიკის ექსპერტი, **ლევან კალანდაძე,** რომელმაც bpn.ge-სთან საუბრისას განმარტა: **„საგადასახადო კოდექსში, რომელიც დღეს გვაქვს, ამ ხელისუფლების მოსვლის შემდეგ მრავალი ათეული ცვლილება განხორციელდა, მაგრამ ის მაინც ვერ ჩამოყალიბდა კოდექსად, რომელიც სრულად გაითვალისწინებს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს. ძალიან ბევრი საკითხი ქართულ საგადასახადო კოდექსში ჯერ კიდევ „აქილევსის ქუსლად“ რჩება. ყველაზე დიდი საფრთხე, რაც ამ კოდექსში გვხვდება, არის ე.წ. სუბიექტივიზმის ფაქტორი, როცა კეთილშობილური მიზნების მიღმა ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი დგას. მით უმეტეს, ჩვენ გვაქვს სამწუხარო გამოცდილება გადასახადების ჩამოწერისა, პატიებისა და ზოგიერთი გადამხდელის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებისა. ამა თუ იმ გადასახადის ჩამოწერას, ან პატიებას რომელიმე თანამდებობის პირი კი არ უნდა წყვეტდეს, ყველაფერი კანონში უნდა იყოს დაწვრილებით განსაზღვრული.**

დავალიანებებისა და საურავების ჩამოწერა ის საკითხია, რომელიც დიდი ხანია, გადასაწყვეტი იყო და კომპანიებს, რომლებიც უკვე აღარ მოქმედებენ, ამით ძალიან დიდი შეღავათი მიეცემათ. ამიტომ, ეს სწორი გადაწყვეტილებაა. ასევე მოსაწონია დღგ-საგან შიდა გადამუშავებაში მოქცეული საწარმოების გათავისუფლებაც. ჩემთვის საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი: ტურისტული მიზნით შესყიდული საწარმოების დაბეგვრის რეჟიმის შემსუბუქება, თუმცა, აქვე ვიტყოდი, რომ რომელიმე მუხლის შეცვლით, ან საგადასახადო კოდექსის კოსმეტიკური შელამაზებით სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ. ჩვენ ისევ შეცდომას ვუშვებთ, როცა ასეთი მიდგომით ვცდილობთ საგადასახადო კოდექსის გაკეთილშობილებას. სასურველია, ერთხელ და სამუდამოდ მივიღოთ ისეთი კოდექსი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არ შეიცვლება, თორემ ყოველ 2-3 თვეში ერთხელ კანონში ცვლილებების შეტანა სასურველ შედეგს ვერ მოგვიტანს. რატომ? — თუნდაც იმიტომ, რომ ხშირი ცვლილებები ბიზნესს არასტაბილურობის განცდას უქმნის და ძალიან დიდ უხერხულობას იწვევს. კოდექსი უნდა ჩამოყალიბდეს როგორც ორგანული კანონი და თუ ეს გახდება ორგანული კანონი, ამით მას ხშირი ცვლილებებისაგან დავიცავთ. საბოლოოდ კი, ბიზნესმენებს უფრო მეტ სტაბილურობის განცდას შევუქმნით“.

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარის მოადგილე **თემურ მაისურაძე** ამბობს, რომ კანონპროექტის განხილვა პარლამენტში მაშინვე დაიწყება, როგორც კი სასესიო მუშაობა განახლდება, ანუ სექტემბერში.

თემურ მაისურაძე: „პარლამენტი იმსჯელებს და გაითვალისწინებს ყველა გონივრულ შენიშვნას, რომელიც ამ კანონპროექტის ირგვლივ გამოითქმება. განხილვის დროს განსაზღვრება ვადაც, თუ როდის შევა ცვლილებები ძალაში. ვერავინ უარყოფს, რომ ბოლო წლებში ჩვენს მეწარმეებს ბევრი უსამართლო და დაუსაბუთებელი ჯარიმა დააკისრეს, ამიტომ თუ მათ ამნისტია შეეხება, ეს ძალიან კარგი იქნება. ერთადერთი შეკითხვა, რომელიც მე მაქვს და ვაპირებ პირადად დავუსვა ბატონ ნოდარ ხადურს, ეს არის — რატომ მაინცდამაინც 2009 წლამდე? ასეთი რამ 2010-შიც ხდებოდა, 2011-შიც და 2012-შიც. ჩვენს ეკონომიკას სჭირდება რაც შეიძლება მეტი ცოცხალი და მოქმედი სუბიექტი, აქედან გამომდინარე, შეღავათებსა და ამნისტიას ყოველთვის მოვიწონებ. ამავე დროს, არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ კანონის ხშირი ცვლა არ შეიძლება: თუ საგადასახადო კოდექსი უკეთესობისაკენ მიდის, ეს ცუდი არ არის. რა თქმა უნდა, უმჯობესია, გამართული და დახვეწილი საგადასახადო კოდექსი გვქონდეს, რომელსაც ხშირად არ ცვლიან, მაგრამ ასე არ არის. თანაც, ჩვენთან პროცესები ძალიან სწრაფად იცვლება, ასოციირების ხელშეკრულებას ხელი მოვაწერეთ და თანდათან უნდა დავუახლოვოთ ჩვენი საგადასახადო სისტემა ევროპულ სტანდარტებს. რაც ყველაზე მთავარია, ეს ჯანმრთელი ცვლილებებია და იმედი მაქვს, რომ მათი წყალობით ჩვენი საგადასახადო კოდექსი უფრო სამართლიანი, უფრო ჰუმანური გახდება.

მზექალა გურიელიძე

◎ გეოპოლიტიკური სივრცე

ჩვენი გზაჯვარედინის გასაჭირი

ცოტა ხნის წინათ, რამდენიმე დიდმა რუსეთულმა სახელმწიფო და კერძო კომპანიამ აფხაზეთის გავლით ყოფილი ამიერკავკასიის სარკინიგზო დერეფნის აღდგენასთან დაკავშირებით დაინტერესება გამოთქვა. ამ ტიპის განცხადებები ადრეც გაკეთებულა, თუმცა კი, საკითხმა დამატებითი დატვირთვა რუსეთის მიმართ ეკონომიკური სანქციების ახალი ტალღის აგორების შემდეგ შეიძინა.

პრობლემაში უფრო სიღრმისეულად გასარკვევად შეკითხვით ეკონომიკის ექსპერტს დემურ გიორხელიძეს მივმართეთ, თუმცა კი, საუბარი ზოგიერთ სხვა საჭირბოროტო საკითხსაც შეეხო.

— ბატონო დემურ, თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ახლანდელ პირობებში აფხაზეთის გავლით რუსეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა და რა სარგებლობის მომტანი შეიძლება იყოს ეს ჩვენთვის ეკონომიკური და, რაც მთავარია, პოლიტიკური თვალსაზრისით?

— აფხაზეთის გავლით რუსეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა ეკონომიკური კი არა, უფრო მეტად პოლიტიკური საკითხია. საქართველო-რუსეთის ურთიერთობები ისეთ ჩიხშია შესული, რომ ეს მარტო ჩვენთვის კი არა, თავად რუსეთისთვისაც დიდი ზიანის მომტანია. ამ ჩიხში ყოფნა და იქ დაყოვნება საქართველოსთვის უდიდესი საფრთხის შემცველია, რადგან არსებობს იმის პოტენციური საფრთხე, რომ სერიოზული რეგიონალური თუ ფართომასშტაბიანი კონფლიქტის პირობებში, ჩვენ შესაძლოა, სრულიად დაუცველი აღმოვჩნდეთ.

ქვეყანამ დაკარგა საკუთარი სახელმწიფო ინტერესების შეგრძნების, გააზრებისა და მათი თანმიმდევრულად განხორციელების უნარი.

ბოლო ათი წელია, საქართველოს საგარეო პოლიტიკა დისბალანსზეა აგებული და ეროვნული ინტერესებიდან არ გამომდინარეობს. ხშირად გვესმის სრულიად გაურკვეველი ლაპარაკი იმის თაობაზე, თითქოს რუსეთთან რაღაც განსაკუთრებული ურთიერთობები გვაქვს, თითქოს „რუსეთში დაბრუნების“ გაურკვეველი, ბუნდოვანი პერსპექტივებია. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, უაზრო პროპაგანდა და სრული სისულელეა. ადრეც არაერთგზის მითქვამს და ახლა გავიმეორებ: ევროპული სახელმწიფო ჩვენ საქართველოში უნდა ავაშენოთ. ჩვენ არც ევროპული და არც აზიური ქვეყანა არა ვართ, ჩვენ ვართ სამხრეთკავკასიური ქვეყანა და ვისაც ეს ავიწყდება და **ჰგონია, რომ ევროპასთან ასოციირების ხელშეკრულებით ჩვენ აღარ ვიქნებით მსოფლიოში მთავარ მოთამაშეთა ინტერესების გადაკვეთის ზონაში, ძალიან ცდება. სამხრეთ კავკასია ხომ თავისი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობით მთავარი მოთამაშეების უდიდესი ინტერესების სფერაა — ეს რეგიონი დღესდღეობით, შუა აზიასთან და აღმოსავლეთთან ერთად, ერთიანი გეოსტრატეგიული სივრცეა და უახლოესი 50 წლის მანძილზე ყველაფერი, რაც მსოფლიოში მოხდება, სწორედ აქ მოხდება.**

საქართველოს საკუთარი, კონსტრუქციული, მუდმივ ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკა უნდა ჰქონდეს. **იგი არ შეიძლება იყოს კონფრონტაციული, არ უნდა იყოს მეზობლების მიმართ საფრთხის შემქმნელი. აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ სავარაუდო რეგიონალურ დაპირისპირებაში საქართველო „ბრმა მოთამაშედ“ შეიძლება გამოიყენონ, ამიტომ პოლიტიკაში მცდარ ნაბიჯებს მაქსიმალურად უნდა მოვერიდოთ.**

საერთოდაც, სამხრეთ კავკასიაში საჭიროა პრაგმატული, სადა აზრებზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარება. საქართველო კი იდეა-ფიქსების, ილუზიების ტყვეობაში იმყოფება, რამაც ბოლშევიკური პროპაგანდის სახე მიიღო, შედეგი კი კატასტროფულია — **საბჭოთა კავშირიც კი ომის გარეშე დაიშალა, ჩვენ კი ყველაფერი უბედურება ვირგუნეთ.** დაპირისპირება სასტიკია, ამიტომ ასე თუ გავაგრძელეთ, ახალი დანაკარგების საფრთხე რეალურად გვემუქრება. უკრაინის მაგალითი უჩვენებს, თუ რამდენად დაუბალანსებელია მსოფლიო პოლიტიკაში თამაშის წესები, ყველანაირი შეთანხმებები, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, მერე კი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაპირისპირებულ ძალებს შორის ბალანსს უზრუნველყოფდა, ჩაიშალა, აღარ მოქმედებს. ეს იმიტომ მოხდა, რომ დიდი სახელმწიფოების სათავეში მყოფი ადამიანებისთვის თავიანთი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები უზენაესია. ჩვენ კი ილუზიებით ვსაზრდოობთ და გვგონია, რომ ვიღაც-ვიღაცები ნათელი იდეებისთვის იბრძვიან. შედეგად, ქვეყანამ დაკარგა საკუთარი სახელმწიფო ინტერესების შეგრძნების, გააზრებისა და მათი თანმიმდევრულად განხორციელების უნარი. ყველაფერს დიდი ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ და გავითვალისწინოთ, რომ ერთმნიშვნელოვნად ვერავისკენ — ვერც აღმოსავლეთ-დასავლთით და ვერც ჩრდილოეთ-სამხრეთით ვერ ვიქნებით, ჩვენ ადრე უკვე ყველგან ვიყავით — ასეთია ჩვენი ისტორია. ყველა ქვეყანა თავის დროზე რომელიღაც იმპერიის შემადგენლობაში იყო, ამდენად **ჩვენი მცდელობა, თავი ვიღაცას შევაფაროთ და არ გვქონდეს საკუთარი თავის იმედი, ჩვენივე დიდი პრობლემური საკითხია. ხაზგასმით მინდა, ვთქვა: სანამ კასპიის ზღვისა და ირანის ნავთობის ტრასების, ამ უზარმაზარ ენერგორესურსებზე კონტროლის საკითხი მთავარ მოთამაშეებს შორის არ გადაწყდება, სანამ ევროპული ბაზრისთვის ბრძოლა ისევ ძველებურად გამძაფრებული იქნება, მანამდე უდიდესი — თითქმის საკუთარი თავის დაკარგვისაც კი! — საფრთხეების წინაშე ვიქნებით.**

ხშირად ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე სწორი წარმოდგენა არა გვაქვს და ყველაფერი რუსეთ-უკრაინის კონფლიქტამდე დაგვყავს, თუმცა კი, სინამდვილეში ეს გაცილებით ფართომასშტაბიანი მოვლენაა. მალაიზიური სამგზავრო თვითმფრინავის უკრაინის ტერიტორიაზე ჩამოგდება შესაძლოა 1914 წელს სარაევოში ჰერცოგ ფერდინანდის მკვლელობის ტოლფასი მოვლენა გახდეს, რომლის შედეგების გათვალისწინება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ამიტომ მე მოვიშველიებდი ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსის, კონგრესმენ ჯ. რომპეის სიტყვებს — ვიდრე გამოძიება არ დასრულდება, უაღრესად არაგონივრულია მომხდარში ვინმესთვის ბრალდების წაყენება. მაგრამ, უბედურება ის არის, რომ მომხდარი ტრაგედიის შესახებ სრული სიმართლე არც არასდროს არ გაირკვევა. ამიტომაცაა ატეხილი საშინელი საინფორმაციო ომი, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის მანამდე განადგურება, ვიდრე საქმე იარაღის გამოყენებამდე მივა.

ოთარ ტურაბელიძე

◎ დაუმთავრებელი განათლების რეფორმა

თამარ სანიკიძე: რაც აქამდე ხდებოდა, ეს იყო კატასტროფა

აი, რა არის ცუდად დაგეგმილი და გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგი

სერტიფიცირებული მასწავლებლის ცნება მაშინ არც არსებობდა, როცა დაწყებით კლასში ნანა წოწორავა მასწავლიდა, მაგრამ თავისი აღმზრდელობითი უნარით, ინტელექტით, საგნების ცოდნით და სწავლების მეთოდით ძალიან კი ამართლებდა. მას განცვიფრებაში მოჰყავდა არა მარტო აღსაზრდელები, არამედ — მშობლები, თავის კოლეგებსა და თანამშრომლებზე რომ აღარაფერი ვთქვა...

მე რომ დღეს ჟურნალისტი ვარ, ნანა მასწავლებლის დამსახურებაა... მაგრამ ჩემი კლასელი, რომელმაც ფიზიკა-მათემატიკური დაამთავრა, მიმტკიცებს, რომ სწორედ ნანა მასწავლებელმა უბიძგა აქეთკენ, რადგან თურმე იმთავითვე გრძნობდა, რომ ჩვენს აღმზრდელს ჰუმანიტარულზე მეტად ტექნიკური საგნები მოსწონდა. ჩვენმა საყვარელმა პედაგოგმა მაშინ არც კომპიუტერი იცოდა, ალბათ, არც უცხო ენა (რუსულის გარდა), მაგრამ იმის გარდა, რომ სასკოლო საგნებს არაჩვეულებრივად გვასწავლიდა, შესანიშნავად თამაშობდა ჭადრაკს, უკრავდა პიანინოზე, გვასწავლიდა ხატვას, ჭრა-კერვას... ის ჩვენთვის ადამიანობის ეტალონი იყო, ყველასთვის ერთნაირად მისაღები და მისაბაძი, იმის მიუხედავად, რომ ჩვენ-ჩვენი თვალსაწიერით ვზომავდით...

ამ თვისებებს ვეძებ დღესაც მასწავლებლებში და სრულიად არ არის უმთავრესი, როგორ ჩააბარა მან სასერტიფიკატო გამოცდები... შეიძლება ადამიანმა ილია ჭავჭავაძის არც ერთი ლექსი ზეპირად არ იცოდეს, მაგრამ ისე საინტერესოდ მოყვეს მის პოეზიაზე, პროზაზე, ბიოგრაფიაზე, მსმენელს არასოდეს დაავიწყდეს.

ჩემი აზრით, ალბათ, ესაა გამართლებული დიდაქტიკა.

როცა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ განაცხადა, მასწავლებლების ატესტაციის სქემა ამ სახით, რაც არის, უქმდება და ის მარტო გამოცდით აღარ შემოიფარგლებაო, ბევრმა ექსპერტმა მიიჩნია, რომ ეს დროული გადაწყვეტილება იყო. საზოგადოების დიდი ნაწილი ამ აზრს დაეთანხმა.

როგორც ვიცით, მასწავლებელი აქამდე ფასდებოდა მხოლოდ გამოცდის მეშვეობით. სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, სამინისტრომ ქვეყნისა და არსებული სიტუაციისთვის ოპტიმალური მოდელი შეიმუშავა, რომელიც გულისხმობს მასწავლებლის შეფასებას არა მხოლოდ საგნობრივი გამოცდით, არამედ პრაქტიკული მუშაობით.

სანიკიძის განცხადებით, სერტიფიცირების ცვლილება გულისხმობს სქემის შეცვლას. კერძოდ, თუ ადრე გამოცდის ჩაბარების შემდეგ პედაგოგი სერტიფიცირებული ხდებოდა, ახლა სქემაში ჩაერთვება მასწავლებელთა განვითარების სხვა ატრიბუტებიც: კარიერული წინსვლა, კატეგორიიდან კატეგორიაში გადასვლა, განვითარება, რასაც მოჰყვება სახელფასო მატება და ა. შ.

თამარ სანიკიძე აღნიშნავს, რომ **„გამოცდების სქემა შეიცვლება და არსებული სახით აღარ იქნება. ახალი სქემა მოიცავს გარკვეულწილად საგნობრივ გამოცდას. დანარჩენი იქნება საკლასო შეფასება და ის, პრაქტიკაში რასაც სწავლობენ. რაც აქამდე ხდებოდა, ეს იყო არაადეკვატური, არანორმალური. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა, როცა წლიდან წლამდე თარიღი გადაჰქონდათ კანონში და 2014 წლის ბოლოს მასწავლებლების 80% სახლში უნდა გაგვეშვა. ეს იყო კატასტროფა, ძალიან ცუდად დაგეგმილი და გაუაზრებელი რამ. ჩვენი ვალია, ეს შევცვალოთ და მასწავლებლებს შევთავაზოთ ადეკვატური სქემა, სადაც ისინი შეძლებენ თავის თავზე მუშაობას, განვითარებას და ცოდნის გამოხატვას. საბოლოო ჯამში, ეს უზრუნველყოფს ხარისხის ამაღლებას“,** — განაცხადა სანიკიძემ.

ამას უკვე მოჰყვა შეფასებები პედაგოგთა მხრიდან: მაგალითად, 51-ე სკოლის დირექტორი მანანა თურქაძე ერთ-ერთ გამოცემასთან საუბრისას აღნიშნავს, რომ იგი, როგორც სასერტიფიკაციო გამოცდის გამსწორებელი, დიდი ხანია, ამის აუცილებლობას ხედავს. **„მხოლოდ სასერტიფიკაციო გამოცდით არ შეიძლება პედაგოგის შეფასება, რადგან პედაგოგიკა ძირითადად არის პრაქტიკა, მისი საქმიანობაა სკოლა, კლასი. პედაგოგმა გამოცდა ერთხელ უკვე ჩააბარა უმაღლესში, იქ შეფასდა მისი ცოდნა და მიიღო დიპლომი, ამიტომ, ამჯერად იგი სულ სხვა კრიტერიუმით უნდა შეფასდეს“,** — ამბობს ის.

როგორც ქალბატონი მანანა განმარტავს:

„ახალ სქემას იცნობენ ჩვენი პედაგოგები, ეს სერიოზული საქმეა. არა მხოლოდ ერთჯერადად, საერთოდაც, კარიერული განვითარების სქემა მნიშვნელოვანი დოკუმენტია, ხოლო კატეგორიიდან კატეგორიაში გადასვლა-აპრობირებული მეთოდი. შეიძლება იყოს 1000-ლარიანი სერტიფიცირებული პედაგოგი, მაგრამ გაკვეთილს ვერ ატარებდეს. ეს ადვილად შესამჩნევია. ამიტომ არ შეიძლება, იმის მიხედვით დაყონ პედაგოგები, ვინ იცის თეორია და ვინ არა. შეიძლება იყოს ძალიან მაგარი ფილოლოგი, მაგრამ არ იყოს კარგი ქართულის მასწავლებელი. შეიძლება, სასერტიფიკაციო გამოცდა წარმატებით დაძლიო, მაგრამ პრაქტიკაში არ ივარგო. ჩვენ თეორეტიკოსებსა და პროფესორებზე არ ვლაპარაკობთ, არამედ ვსაუბრობთ პედაგოგზე, რომელსაც ბევრი სხვა თვისება უნდა ჰქონდეს — საკლასო ოთახის ფლობა, ბავშვებთან მუშაობა და ა.შ.

ბევრჯერ მქონია გასაუბრება პედაგოგთან: ერთი შეხედვით, ისეთი კარგი მასწავლებელი მოსულა, იმისთანა სივით, მაგრამ, სინამდვილეში, ის არ ყოფილა ნამდვილი პედაგოგი. მასწავლებლობა არ არის ადვილი საქმე, არ შეიძლება, სტიქიურად დაეუფლო ამ პროფესიას და სხვაგან ადგილს რომ ვერ ნახავ, ამიტომ მასწავლებელი გახდე“.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი კატეგორიულად არ ეთანხმება აზრს იმის შესახებ, რომ თითქოს აქამდე არაადეკვატურად ფასდებოდნენ პედაგოგები. **„არაადეკვატურობასთან ამას არავითარი კავშირი არ აქვს. ჩემთვის მიუღებელია თამარ სანიკიძის ასეთი შეფასება, რადგან ეს გამოცდები აფასებს პედაგოგის საგნობრივ ცოდნას და საგნის სწავლების მეთოდიკას, ასევე, იმ პროფესიულ უნარებს, რომლებიც უმნიშვნელოვანესია, ჰქონდეს ნებისმიერ მასწავლებელს. პედაგოგმა ასეთი გამოცდის ჩაბარება უნდა მოახერხოს. არის თუ არა საკმარისი, ეს მეორე საკითხია.**

ჩვენ დავიწყეთ ჩვენი წილი გამოცდების მომზადება და მაშინ გეგმა იყო, რომ მეორე კომპონენტს პარალელურად მეორე ცენტრი გააკეთებდა. თუ რატომ ვერ განხორციელდა, ამას ვერ გეტყვით. პედაგოგებზე საკლასო დაკვირვებაც ჩვენმა ორგანიზაციამ თავის თავზე აიღო და სულ მალე ეს კომპონენტიც გვექნება“, — აღნიშნა მაია მიმინოშვილმა.

ის ასევე დასძენს, რომ ამ საკითხზე მომუშავე ჯგუფს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება ჯერ კიდევ 2006 წლიდან მოუწია, მოწვეული ჰყავდათ უცხოელი კონსულტანტებიც და ქართული მოდელის ნაწილი აშშ-ის გამოცდილებიდან აიღეს.

შეგახსენებთ, რომ პირველად 2010 წელს ჩატარდა სასერტიფიკატო გამოცდები და მას შემდეგ ქვეყანას ყოველწლიურად რამდენიმე მაღალანაზღაურებადი პედაგოგი ემატებოდა. ხელფასის ოდენობა საგნობრივ ცოდნასთან ერთად იმასაც გულისხმობდა, იცოდა თუ არა მასწავლებელმა კომპიუტერი და უცხო ენა.

გასაგებია, რომ სერტიფიცირების სქემა იცვლება, თუმცა, ჯერ არავინ იცის, რა ემუქრება იმ პედაგოგთა ხელფასს, რომელთაც უკვე აღებული აქვთ სერტიფიკატი, მაგრამ შესაძლოა, პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების კომპონენტი ვერ დააკმაყოფილონ ან კომპლექსური შეფასებისას ჩაიჭრან.

იმედია, თავსატეხს განათლების სამინისტრო ამოხსნის, ჩვენ კი მოთმინებით უნდა ველოდოთ განათლების რეფორმის დაუსრულებელ პროცესს, რომელიც ერთ წელიწადს გვგონია, რომ ამართლებს, მეორე წელიწადს აღმოჩნდება, რომ, თურმე, არ ვარგებულა... ეროვნულ გამოცდებზე კი რატომღაც ცხვირაბზუებულები „წუწუნებენ“ განათლების სისტემის მესვეურები, რომ არც თუ საფუძვლიანად მომზადებული და განსწავლული თაობა გვყავს. მაგრამ არავის უნდა ამაზე პასუხისმგებლობის აღება და იმის აღიარება, რომ ეს არის სწორედ იმ ცუდად დაგეგმილი და გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგი, რაზეც მინისტრმა აქცენტი გააკეთა.

ნია ფიფია

◎ ისმინე სამუშაოს მძებნელო!

როგორ დავსაქმდეთ?

ცნობილი ქართული კომპანიების HR-ების რჩევები სამსახურის მაძიებლებს

ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ვიწყებთ სამუშაოს ძებნას, თუმცა, ეს პროცესი სხვადასხვა ტიპის სირთულეებთან არის დაკავშირებული. მივაგნებთ თუ არა სასურველ ვაკანსიას, მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე ვდგებით - რეზიუმესა და სამოტივაციო წერილის შედგენა. ეს ორი დოკუმენტი ერთგვარი საავიზიტო ბარათია ჩვენსა და დამსაქმებელს შორის, რომელმაც უჩვენოდ უნდა მოაწონოს თავი კადრების შერჩევაზე პასუხისმგებელ პირს. ცნობილია, რომ არცთუ ისე იშვიათად, სწორედ ამ ეტაპზე უშვებენ აპლიკანტები გარკვეულ შეცდომებს.

როგორი უნდა იყოს სამოტივაციო წერილი, ექცევა თუ არა ყურადღება ინფორმაციის მოცულობასა და თანმიმდევრულობას, რა ტიპის შეცდომებს უშვებენ კანდიდატები ყველაზე ხშირად? — ამ და სხვა საინტერესო კითხვებით „ამბები.გე“-მ რამდენიმე წამყვანი კომპანიის კადრების შერჩევის სპეციალისტს მიმართა.

დასაქმების სააგენტო HR-ის კადრების შერჩევის განყოფილების ხელმძღვანელი ეთერ ლეშჩინსკაია:

— აქცევთ თუ არა განსაკუთრებულ ყურადღებას რეზიუმეში ჩამოთვლილი ინფორმაციის თანმიმდევრულობას (ზოგი იწყებს სკოლის პერიოდიდან და რეზიუმეს ბოლო ნაწილში აქვს ინფორმაცია ამჟამინდელი საქმიანობის შესახებ)?

— როგორც წესი, ამის გამო კანდიდატს არ იწუნებენ. მთავარია, ინფორმაცია პიროვნების შესახებ გარკვევით იკითხებოდეს და სიმართლეს შეესაბამებოდეს. და რაც ყველაზე მთავარია, მონაცემები თანხვედრაში უნდა მოდიოდეს იმ მოთხოვნებთან, რომლებიც ამა თუ იმ კომპანიას აქვს წამოყენებული.

— ზოგჯერ კომპანიები რეზიუმესთან ერთად ფოტოსურათის გაგზავნასაც ითხოვენ. რა შემთხვევაში ითხოვს თქვენი კომპანია ფოტოსურათს, რა ტიპის ფოტოს გაგზავნაა სასურველი და რა შეცდომას უშვებენ ხოლმე აპლიკანტები ამ შემთხვევაში?

— უმეტესად ფოტოსურათი არა სავალდებულო, არამედ სასურველი ატრიბუტია. თუმცა, ბოლო დროის ტენდენცია აჩვენებს, რომ ზოგი კომპანია ხაზგასმით მოითხოვს რეზიუმესთან ერთად ფოტოსურათის გაგზავნას. ძირითადად, ასეთი მოთხოვნა კონსულტანტის ვაკანსიაზე არის ხოლმე. ჩვენს ორგანიზაციაში დღეში საშუალოდ 1500-დან 2000-მდე რეზიუმე შემოდის. გარდა ამისა, მუდმივად მიმდინარეობს ონლაინ რეგისტრაცია. რეგისტრაციის ერთ-ერთი პუნქტი სწორედ გამართული ფოტოსურათის განთავსებაა, თუმცა, არ არის აუცილებელი, ფოტო იყოს სტანდარტული, ე.წ. 3/4-ზე.

— შეიძლება თუ არა CV-ში სამუშაოს აღწერის მითითება, თუ ეს ინფორმაცია სამოტივაციო წერილისთვის არის განკუთვნილი?

— თუ კანდიდატი აგზავნის განაცხადს ფინანსური მენეჯერის ვაკანსიაზე და რეზიუმეში ჩამოთვლილი აქვს თითოეულ პოზიციაზე 4-5 მოვალეობა, სრულიად საკმარისია. ზოგჯერ თითო ვაკანსიაზე მინიმუმ 400 რეზიუმე შემოდის, თითოეული მათანი 8-9 ფურცელი რომ იყოს, წარმოიდგინეთ, რამდენად რთული იქნება მათი გულდასმით წაკითხვისა და შერჩევის პროცესი.

— რამდენად მნიშვნელოვანია რეკომენდატორების მიერ გაწეული რეკომენდაცია და ზოგადად, აუცილებელია თუ არა რეკომენდატორების მითითება რეზიუმეს ბოლოს?

— თუ მაღალ თანამდებობაზე არის ვაკანსია გამოცხადებული, რეკომენდატორების მითითებას მოვითხოვთ ხოლმე. მეტწილად ვამოწმებთ კიდეც მათთან კანდიდატის მიერ მითითებულ სამუშაო გამოცდილებას. ვინაიდან ჩვენ შუამავალი კომპანია ვართ და კომპანიების წინაშე ერთგვარი პასუხისმგებლობა გვაკისრია, ვცდილობთ, მაქსიმალურად გადამოწმებული ინფორმაცია მივაწოდოთ მათ.

იხ. 9 გვ.

◎ სიმართლეს ვერსად წაუხვალ!

ოლეგ მელნიკოვი გირგვლიანის საქმის ყველა ეპიზოდზე თავს დამნაშავედ მიიჩნევს

ალიარებითი ჩვენება მელნიკოვმა გირგვლიანის საქმეზე საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე მისცა . როგორც მან აღნიშნა, დათა ახალაიამ დაწერილ ჩვენებაზე ხელი მოაწერინა. ამასთან, მელნიკოვმა განაცხადა, რომ გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ დათა ახალაია გენერალურ პროკურატურაში ზურაბ ადეიშვილს ახლდა, შემდეგ კი მიხეილ სააკაშვილთან გამართა შეხვედრა. ამ დროს კი, როგორც მელნიკოვი აცხადებს, იგი ავტომობილში დათა ახალაიას ელოდებოდა. მელნიკოვმა განაცხადა, რომ მაღალჩინოსნებმა შეიმუშავეს გეგმა. დათა ახალაიას დაწერილ გეგმას მიხეილ სააკაშვილიც დაეთანხმა,. კერძოდ — გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ საზოგადოებაში არსებული პროტესტი შინაგან საქმეთა სამინისტროს ოთხი თანამშრომლის დაკავებით უნდა ჩაეხშოთ.

მელნიკოვის თქმით, ამაზე თანხმობა არსებობდა როგორც ყოფილი მთავარი პროკურორის, ზურაბ ადეიშვილისგან, ასევე მიხეილ სააკაშვილისგან. მისი განცხადებით, მაღალჩინოსნების შეთანხმების მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოთხ თანამშრომელს დააკავებდნენ და შემდეგ კი გაათავისუფლებდნენ. ამასთან, მელნიკოვმა აღნიშნა, რომ დათა ახალაიას თხოვნით, მან დაწერილ ჩვენებას ხელი მოაწერა და ახალაიას დაპირდა, რომ სასამართლოში აღნიშნულ ჩვენებას დაადასტურებდა.

მელნიკოვმა აღიარებით ჩვენებაში ისიც განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ მუშაობდა, პლასტიკურ ბარათზე ხელფასი ყოველთვიურად ერიცხებოდა.

პროცესზე მელნიკოვის დაკითხვა ოქროყანის ეპიზოდთან დაკავშირებით ხდებოდა. როდესაც პროცესი გადაიდო, გადადების მიზეზი გახდა ის, რომ ადვოკატი მალხაზ ველიჯანაშვილი მელნიკოვის გარდა, იცავს აღნიშნულ საქმეზე ერთ-ერთ ეპიზოდზე ბრალდებულ ვალერიან მეტრეველს. ადვოკატმა განმარტა, რომ ვინაიდან მელნიკოვმა აღიარებითი ჩვენება მისცა, მისი ჩვენება ეწინააღმდეგება მისი დასაცავი პირის ინტერესებს და აქედან გამომდინარე, დადგა ადვოკატის აცილების საკითხი, რის გამოც პროცესი შეწყდა.

მელნიკოვის დაკითხვა ოქროყანის ეპიზოდთან დაკავშირებით 13 აგვისტოს გაგრძელდება.

პროცესის შემდეგ განცხადება გააკეთა საქმის პროკურორმა ირაკლი ნადარეიშვილმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ დაკითხულმა მოწმემ დაადასტურა აღნიშნულ საქმეზე ბრალდებული პირების დანაშაულებრივი ქმედებები. პროკურორის შეფასებით, ოლეგ მელნიკოვმა თავდაპირველად გირგვლიანის საქმეზე ძველი ხელისუფლების პირობებში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დათა ახალაიას ფაქტორიდან გამომდინარე, ცრუ ჩვენება მისცა. დღეს კი, მან რეალური ინფორმაცია მიაწოდა სასამართლოს.

სამართლიანობის აღდგენის პროცესი ბოლომდე მივა

მივესალმები ყველა ადამიანის გადაწყვეტილებას, რომ ითანამშრომლოს სახელმწიფოსთან და ობიექტურ გამოძიებასთან,— ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ოლეგ მელნიკოვის აღიარებით ჩვენებაზე კომენტირებისას განუცხადა. პრემიერის განმარტებით, ის კიდევ ერთხელ ჰპირდება მოსახლეობას, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი ბოლომდე მივა.

—მე, როგორც პრემიერ-მინისტრი, ვპირდები მოსახლეობას, რომ თითოეული მოქალაქის მიმართ იქნება სამართლიანობა აღდგენილი. მე მივესალმები ყველა ადამიანის გადაწყვეტილებას, რომ ითანამშრომლოს სახელმწიფოსთან, ობიექტურ გამოძიებასთან და ერთხელ და სამუდამოდ, ჩვენმა მოქალაქეებმა და მსოფლიომ გაიგოს სიმართლე და ის სასტიკი რეალობა, რომელიც წლების განმავლობაში არსებობდა ჩვენს ქვეყანაში,— განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რაც შეეხება მოსაზრებას, რომ მელნიკოვზე, შესაძლოა, ზეწოლას ჰქონოდა ადგილი, პრემიერის განმარტებით, ეს არის ოპონენტების ბრალდება, რომელზეც კომენტარს არ გააკეთებს.

—სასჯელაღსრულების სისტემა და მთლიანი მთავრობა არის ისეთი გამჭვირვალე, როგორც წებისმიერ ცივილიზებულ, ევროპულ თანამედროვე სახელმწიფოში, — დასძინა პრემიერმა.

რაც შეეხება ჟურნალისტების შეკითხვას, რამდენადაა შესაძლებელი მელნიკოვის ჩვენების საფუძველზე ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ბრალი დაუმძიმდეს, ღარიბაშვილმა განცხადა, ვისი ბრალეულობა გამოიკვეთება მომავალში, ეს გამოძიების პრეროგატივაა.

გირგვლიანის საქმეში თაკო სალაყაია მთავარი დამნაშავეა

მელნიკოვის ჩვენების შემდეგ, თაკო სალაყაია და თათია მაისურაძე სასწრაფოდ პასუხისგებაში უნდა მიეცნენ,— ამის შესახებ სანდრო გირგვლიანის ბიძამ გოგი ენუქიძემ განაცხადა.

მისი თქმით, მელნიკოვის ჩვენებით გამოიკვეთა, რომ სალაყაიამ და მაისურაძემ მიუთითეს შარდენის ცნობილი სუფრის წევრებს, რომ სანდრო მათ აწუხებდათ.

სანდროს მკვლელობის შემდეგ, თათია მაისურაძე გირგვლიანის ოჯახთან მიდიოდა და თანაუგრძნობდა, თუმცა, არცერთხელ არ უთქვამს ის, რაც ჩვენებაში ოლეგ მელნიკოვმა მიუთითა.

სანდრო გირგვლიანის ოჯახის აზრით, მელნიკოვის ჩვენებით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ვანო მერაბიშვილმა და დათა ახალაიამ გააყალბეს საქმე.

„ვის რამდენი წლილი მიუძღვის საქმის გაყალბებაში, ამას პროკურატურა გამოავლენს. მერაბიშვილიც და დათა ახალაიაც უმკაცრესად უნდა დაისაჯონ. დათა ახალაია იყო ორგანიზატორი იმისა, რაც მოხდა ოქროყანაში“, — განაცხადა გოგი ენუქიძემ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო ავღანეთში დარჩება

საქართველოს შეზღუდულ კონტინგენტში დაახლოებით 750 კაცი იქნება

ავღანეთში მყოფი საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია მოელაპარაკა ამ ქვეყნის ხელისუფლებას იმის შესახებ, რომ ნატოს ჯარების გაყვანის შემდეგ — 2014 წლის ბოლოსათვის — იქ დარჩება საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ინსტრუქტორებისა და შეზღუდული კონტინგენტი. ჩვენი გაზეთის წყაროების მონაცემებით, ავღანეთში იქნება დაახლოებით 750 ქართველი სამხედრო. თბილისში მიაჩნიათ, რომ გადაწყვეტილება საქართველოს ხელმძღვანელობამ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების თხოვნით.

საბოლოო შეთანხმება ავღანეთში საქართველოს სამხედრო კონტინგენტის ყოფნის შესახებ მიღწეული იქნა ქაბულში საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელის ირაკლი ალასანიას და მისი ავღანელი კოლეგის ბისმილა-ხანა მოჰამადის ორსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ. მინისტრებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს „სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ“. **„ამით ჩვენ საფუძველი ჩავუყარეთ სამხედრო თანამშრომლობას საქართველოსა და ავღანეთს შორის“,** — განაცხადა სტუმარმა, რომელმაც შეგვახსენა, რომ ქართველი ინსტრუქტორები „ამზადებენ ავღანელ არტილერისტებს კანდაგარში და მათ გასცემენ საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატებს“.

ავღანელ კოლეგასთან მოლაპარაკებამდე ირაკლი ალასანია იმყოფებოდა ფენიქსის სამხედრო ბაზაზე, სადაც არის დისლოცირებული ქართული ნაწილი. იქ იგი შეხვდა ამერიკის ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის 48-ე ქვეითი ბრიგადის საბრძოლო ჯგუფის მეთაურს ვიცე-პოლკოვნიკს რენდელ სიმონსს, რომელიც ხელ-

მძღვანელობს კიდეც ამ ბაზაზე ქართულ ქვედანაყოფს.

რამდენი ქართველი სამხედრო დარჩება ავღანეთში 2015 წლის 1 იანვრიდან, ქვეყნის თავდაცვის სამინისტრო არ იტყობინება. დამოუკიდებელი სამხედრო-ანალიტიკური გამოცემის „არსენალის“ მთავარი რედაქტორის ირაკლი ალადაშვილის მონაცემებით, შეთანხმება ავღანეთის მხარესთან ითვალისწინებს, რომ „მათი ოდენობა იქნება სულ ცოტა 750“, ისინი კი განთავსდებიან ბაგრამისა და მაზარი-შარიფის ბაზებზე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ ნოდარ ხარშილაძემ ჩვენთან საუბარში განმარტა, რომ გადაწყვეტილება, დატოვონ ქართული კონტინგენტი ავღანეთში, „**გამოდის ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ტაქტიკიდან, არ დატოვონ მთლიანად ეს ქვეყანა 2014 წლის შემდეგ“. „გადამწყვეტი აქ იქნება ამერიკელთა თხოვნა,** — ამბობს ჩვენი თანამოსაუბრე. — **მათ ხომ ხელები დაიწვეს ერაყში, საიდანაც მთლიანად წავიდნენ თავად და გამოიყვანეს თავიანთი მოკავშირეებიც, ახლა კი იძულებული არიან კვლავ დაბრუნდნენ იქ“.**

Коммерсантъ

დედამიწის ზურგზე

ირანის ხელისუფლებამ კონტრაცეპტივები აკრძალა, რათა გაზარდოს მოსახლეობის რიცხოვნობა

ქვეყნის პარლამენტმა მოიწონა კანონი, რომელიც ვარაუდობს კონტრაცეპტიების ისეთი სახეობების აკრძალვას, როგორებიცაა ვაზექტომია და ანალოგიური პროცედურები ქალებში. ასე გამოეხმაურნენ პარლამენტარები ქვეყნის უმაღლესი ლიდერის აიათოლა ალი ჰამენეის მოწოდებას „განვამტკიცოთ ეროვნული იდენტურობა“ და დავუპირისპირდეთ „დასავლური ცხოვრების წესის არასასურველ ასპექტებს“.

* * *

ყირგიზეთს განზრახული აქვს შეუერთდეს საბაჟო კავშირს, რათა რუსეთს მიაწოდოს ხორცი და ბოსტნეული სერტიფიკაციის გარეშე

მას შემდეგ, რაც მოსკოვმა შეზღუდა ხორცის, თევზის, რძის პროდუქტების, ბოსტნეულის, ხილის იმპორტი, ყირგიზელ კომპანიებს იმედი აქვთ შეავსონ დაცარიელებული რუსული ბაზრები. მაგრამ მსჯელობა იმის შესახებ, შეძლებენ თუ არა ყირგიზელი ფერმერები საგრძნობლად გაზარდონ წარმოების მოცულობები, ჯერჯერობით რთულია.

* * *

ობამა: ერაყის ახალმა მთავრობამ უნდა დაიბრუნოს მოძალადეების ნდობა

მან და ვიცე-პრეზიდენტმა ბაიდენმა უკვე მიულოცეს ახალ პრემიერ-მინისტრს ჰეიდარ ალ-აბადის თანამდებობაზე დანიშვნა და მოუწოდეს მას, „რაც შეიძლება მალე ჩამოაყალიბოს მინისტრთა კაბინეტი, რომელიც წარმოადგენს ყველა ერაყელის ინტერესს“. ამავე დროს, სახელმწიფო დეპარტამენტმა მიუთითა, რომ „კანონიერი პრემიერი არის ალ-მალიკი“: „აქ არეულობას აქვს ადგილი“.

* * *

ებოლისაგან უკვე 1013 კაცი გარდაიცვალა. თეთრი სახლი ლიბერიაში ექსპერიმენტულ ვაქცინას აგზავნის

როგორც ლიბერიის ხელმძღვანელის ელენ ჯონსონ-სირლიფის ოფიციალური საიტიდან განმარტავენ, წამალი გაიგზავნება ლიბერიელი ექიმების სამკურნალოდ, რომლებიც ინფიცირებული არიან ვირუსით. ამის დამატებით, კვირის ბოლოსათვის ელოდებიან ლიბერიაში ექსპერიმენტული შრატის ჩატანას ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციიდან.

ცეცხლმოდებული ტელესერიალების გაგრძელება...

...უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში აღმოაჩინეს „ოპიუმისა“ და „კანაფის“ უდიდესი პლანტაციები, სადაც მუშაობდა ადგილობრივი სოფლების უკლებლივ ყველა მცხოვრები. როგორც შემდგომ გაირკვა, მონურ შრომაში ჩაბმულებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რომ თავიანთი სოფლებისა და ნარკონათესების გარდა კიდევ რაიმე არსებობდა. ამ იძულებით შრომაში ჩაბმულებს იცავდნენ კბილებამდე შეიარაღებულები. მათ თავს დასტრიალებდა სამხედრო ავიაცია, მთელ ამ კოლონიურ დასახლებას ხელმძღვანელობდა ადგილობრივი რაიონული საბჭოს თავმჯდომარე (უსმანხოჯაევი), უზბეკეთის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან დაახლოებული ვინმე ავილოვი, რომელიც ფრიად მიღებული კაცი იყო საბჭოთა ელიტის უმაღლეს პირებს შორის.

ავილოვს შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე ერთპიროვნული მმართველობა, დიქტატურა ჰქონდა დამყარებული. ჰქონდა საკუთარი ციხე, სადაც მამა-მარჩენალისთვის მიუღებელთ უშუალოდ კოლონიზატორის სამართლითა და უშუალო მითითებებით ასამართლებდა. გამორიცხული იყო მსჯავრდებულის სხვაგან, თუნდაც, უზბეკეთის ნებისმიერ ციხესა თუ კოლონიაში გაგზავნა. ბინებისა და მიწის ნაკვეთების გაცემაც მხოლოდ ავილოვის უშუალო მითითებით ხდებდოდა.

ამ ფაქტების გახმაურების შემდეგ უსმანხოჯაევი, ავილოვი და უზბეკეთის პარტელიტა დააკავეს, თუმცა, ექსპერტები დანანებით აღნიშნავდნენ, რომ რეპრესიები არ შეხებიათ კრემლის საშულო დონის ჩინოვნიკებს, რომლებიც ნარკობიზნესში პირდაპირ იყვნენ ჩართულნი.

საჯაროობამ თვალნათელი გახადა საბჭოთა გენერალიტეტის ღია ჩართულობა ავღანურ ნარკობიზნესში, ისინი გორბაჩოვ-შევარდნაძეს პირველ რიგში იმის გამო ემტერებოდნენ, რომ ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანით გენერალიტეტის უმაღლესმა ეშელონებმა დაკარგეს როგორც მსხვილი სახელმწიფოებრივი ანაზღაურებები, ასევე ნარკობიზნესიდან შემოსული მოგება. მაშინდელი დასავლეთელი მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავდნენ საშუალო ფენის სამხედროთა უკმაყოფილებას. მყარი „უძრაობის“ პერიოდში, როდესაც საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომელი იყო ნებისმიერი ინფორმაცია ნარკობიზნესისა და საერთოდ ნარკომანიაზე, იმჟამინდელ საქართველოს ცკ-ის პირველ მდივანს ედუარდ შევარდნაძეს ეყო გამბედაობა და რესპუბლიკაში დააარსა „დანაშაულთან ბრძოლის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“. მაშინდელი საბჭოთა რესპუბლიკების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მთელს ქვეყანას გააგებინა, რომ ნარკომანია სახელმწიფოში ყვავის და მასთან ბრძოლას არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი კონტროლი და ყურადღება სჭირდება, არამედ საზოგადოებრივიც. მოსკოვმა დიდი ფიქრისა და განსჯის შედეგად მიიღო დადგენილება, ყველა მომძე რესპუბლიკაში შეექმნათ მსგავსი ცენტრები — საქართველოს მსგავსად აქცენტი გაკეთებულიყო ნარკომანიის შესწავლის საკითხებსა და მასთან ბრძოლის პრობლემებზე. **„ჩვენი ორგანიზაცია თავდაპირველად გარკვეულ შედეგებს აღწევდა. მაგრამ მოგვიანებით სამეცნიერო კვლევითი ცენტრი იმ ხარისხის კადრებით დაკომპლექტდა, რომ მეცნიერებასა და სამეცნიერო კვლევით მუშაობაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო“,** — გულისტკივილით აცხადებდა ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის დამაარსებელი ედუარდ კოდუა.

კომუნისტური ეპოქის დასასრული კრიმინალთა ზეობით აღინიშნა. შსს-სა და სხვა სამართალდამცავ სტრუქტურებში პირდაპირი აღებ-მიცემობა მიმდინარეობდა. სიტუაცია ზუსტად შეაფასა იმჟამინდელმა საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ პავლე გილაშვილმა, რომელმაც ქართველ კომუნისტთა ფორუმზე პირდაპირ განაცხადა — **„აქლემის ქურდი ნემსის ქურდს იჭერს და ციხეში აგზავნის“.** ამ კრიტიკული გამოსვლისთვის ცკ-ის პირველმა მდივანმა პატიაშვილმა იგი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ნარკომანიამ და ნარკობიზნესმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ყველაფერ ამას ხელს უწყობდა ეროვნული მოძრაობის აღმავლობა, რომელსაც ბევრი კრიმინალი და „შავი სამყაროს“ წევრი მიეტმასნა. ამ მოძრაობაში ჩართულობა დემორალიზებული სამართალდამცავებისთვის ხელშეუხებლობის მიზეზი გახდა. ქვეყანაში სტატისტიკური მონაცემებით დიდი რაოდენობის ნარკოტიკები შემოდიოდა. არაოფიციალური მონაცემებით, „მწვანე ჭირი“ შემოდიოდა ქვეყნის სამხრეთით, აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით მდებარე სახელმწიფოებიდან, ექსპერტთა განმარტებით, ნარკოტიკის თავისუფალ მიმოქცევას ხელს უწყობდა საზღვარგარეთის სრული უკონტროლობა. ასეთი თავაშვებულობა მოგვიანებით ძვირი დაუჯდათ სამართალდამცავებს, განსაკუთრებით, მოსახლეობას.

კრიმინალური სიტუაცია არც ეროვნული ძალების ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ შეცვლილა. მეტიც, კიდევ უფრო გამწვავდა ვითარება ხელისუფლებაში მომხდარი განხეთქილებისა და შეიარაღებული დაპირისპირების შემდგომ, რასაც მოჰყვა სამოქალაქო ომი. ორივე მხარეს დაიწყეს იარაღის დარიგება, ქვეყანაში ყოველდღიურად ხდებოდა მკვლელობები, დაჭრები, ფულის გამოძალვის, ყაჩაღობის ფაქტები, ნაძარცვი უძრავ-მოძრავი ქონება დაუბრკოლებლივ მიედინებოდა ცხინვალსა და აზერბაიჯანში და ნარკოტიკებში იცვლებოდა. დედაქალაქსა და მსხვილ ქალაქებში უპრობლემოდ შეიძლებოდა ნარკოტიკების შეძენა. უამრავი ნარკობუნაგი იყო. თუმცა, დემორალიზებული პოლიცია მხოლოდ სტატისტის როლს ასრულებდა. ექიმ-ნარკოლოგ ინგა რევიას განმარტებაით არნახულად გაიზარდა ნარკოდამოკიდებულთა რიცხვი.

სიტუაცია კატასტროფულზე უარესი იყო. სახელმწიფოს მეთაურმა სამართალდამცავებს გადამწყვეტი ბრძოლისკენ მოუწოდა. დაიწყო ორგანიზებული შეიარაღებული ბანდების წევრთა დაკავება. მაგრამ ყოფილი შს სამინისტროს თანამშრომლის უჩა ვაწაძის განცხადებით, თავი იჩინა პიარმა. მინისტრის მოადგილე გვენცაძე, სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ჩიქავა, როგორც კი მომრავლდებოდა კრიმინალური შემთხვევები, სამორიგეოდან გამოიტანდნენ იარაღებს, დააწყობდნენ ოთახში, მოიყვანდნენ ტელევიზიებს და აკეთებდნენ კომენტარს მათი მოსახლეობიდან ამოღების თაობაზე. თუმცა, ეკრანზე არ ჩანდა დაკავებული პირი, არ იყო გარკვეული ცეცხლსასროლი იარაღის შემდგომი დისლოკაციის ადგილი. ანალოგიური სიტუაცია იყო ნარკოტიკების აღმოჩენა, მოთიბვა-განადგურების კუთხითაც.

შევარდნაძის მიმართვამ შედეგი გამოიღო. კრიმინალური სიტუაცია ნელ-ნელა უმჯობესდებოდა. ამასობაში კვირაია თარგამაძემ შეცვალა. დაიწყო ადრე ჩადენილი უმძიმესი დანაშაულების გახსნა, ბოროტმოქმედთა დაკავება. კრიმინოგენური ვითარება თანდათან მართვადი ხდებოდა, თარგამაძის ნარჩემაშვილით შეცვლას არ მოჰყოლია სასურველი ძვრები. კრიმინოგენურმა ვითარებამ თანამიმდევრულად იწყო გაუარესება. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ლეგალიზებულად დაიწყეს ბავშვების ორცხობილებზე დასაყრელი ხაშიშის გამომშრალი კაკლების შემოტანა. ამბობდნენ, რომ ამ ბიზნესს თვით ახლად დანიშნული მინისტრი კურირებდა. ნარკოდანაშაულის თვალსაზრისით აშკარა რეგრესი იყო.

ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლამ ცხადყო, რომ ისინი არ „შეურიგდებოდნენ“ შექმნილ მდგომარეობას. დაიწყო ბრძოლის ახალი ეტაპი ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ. ახალი მინისტრის გიორგი ბარამიძის ამ მცდელობას თან ახლდა პიარიც. არაერთგზის მოიჭრა ველური ნარგავები და შს სამინისტროს ეზოში იწყეს მათი დაწვა-განადგურება. როგორც ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალისტი ნაირა ქემაშვილი აცხადებს, ბარამიძე და მისი ხელისუფლება არა ერთხელ იყვნენ გაფრთხილებულნი, რომ მსგავსი ღონისძიებები ვერავითარ დადებით შედეგს ვერ მოიტანდა. რადგანაც „კანაფს“ (კანპიას) გააჩნია ინკუბაციის უნიკალური უნარი. ნიადაგი მოხვედრილ თესლს აქვს უნარი ამოვიდეს 2-3-4 წლის შემდეგაც. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა გაჩეხილი ნათესების მთელი ნიადაგის შეწამვლა სპეციალური ხსნარით, რაც სიძვირის გამო არ ხდება.

ბარამიძის შემცვლელმა მინისტრმა სამინისტრო იმ დონეზე ჩაკეტა, რომ რა ხდებოდა უწყებაში მხოლოდ ოქრუაშვილმა იცოდა.

ერთი-ორი პიარკამპანიის მცდელობა მინისტრ მერაბიშვილსაც ჰქონდა. მაშინ მან სხვა მეთოდს მიმართა და 1000-ლარიანი პრემია გამოაცხადა იმ პირთათვის, რომლებიც შსს-ს ორგანოებს ნარკოდილერების, ნარკომანებისა და ნასეტკების სისტემური მომსახურების შესახებ მიაწვდიდა ინფორმაციას. ქვეყნის ხერხემლის სატყუარამ რომ არ გაჭრა, ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს ყოფილი თანამშრომლის გაგა მესხის რეალიზატორი აიყვანეს. მათ მიაყოლეს მომხმარებლებიც. გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად გარეთ გამოუშვეს ისინი, ვინც დათანხმდა ნაცებთან თანამშრომლობას. „ლევად“ მომუშავე ბარიგებს სასტიკად სჯიდნენ და უსწორდებოდნენ.

მესხის მტკიცებით, ასე დარჩა ნარკორეალიზატორთა და მომხმარებელთა ერთი ძლიერი ხაზი მერაბიშვილის ხელმძღვანელობით. მისი კოლეგები აცხადებენ, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ნარკოდანაშაულის ამგვარი ბუმი იმან გამოიწვია, რომ „უფლებაშეზღუდული“ „ბარიგები“ სამოქმედო ასპარეზზე გამოჩნდნენ მერაბიშვილის მიერ მართულმა რეალიზატორებმა სრული თავისუფლებით ისარგებლეს.

ცხადია, „ქართული ოცნების“ ახალ ხელისუფლებას შეგნებულად გაუარესებული კრიმინოგენური სიტუაცია დახვდა. მათ უწევთ ძველი კადრებით ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ, როგორც ჩანს, ჭიკაიძისათვის სწორედ ძველ კადრებს აქვთ მიცემული რჩევა უჩვენონ ტელეეთერით, თუ როგორ იწვის მთელი ქვეყნის მასშტაბით ამოღებული ათობით ტონა ნარკოტიკი. ამ შემთხვევაში ძნელია ტონაჟის დადგენა. სპეციალისტებს წარმოუდგენლად მიაჩნიათ, რომ ამხელა ტონაჟის განადგურების დროს სამართალდამცავები სპეციალური დამცავი პირბადეების გარეშე ტრიალებდნენ ცეცხლის ირგვლივ.

იმედია, შსს-ს ახალი ხელმძღვანელობა გაკეთებულ საქმეს თავის საწინააღმდეგო პიარად არ გამოიყენებს.

ზაზა ბილიხოძე

◎ ისმინე სამუშაოს მძებნელო!

როგორ დავსაქმდეთ?

(მეშვიდე გვერდიდან)

ზოგჯერ კანდიდატები აზვიადებენ, ან იტყუებიან და ეს სწორედ რეკომენდატორებთან უშუალოდ გასაუბრებისას გამოაშკარავებულა.

— როგორც წესი, CV-ის ბოლო ნაწილი ჰობის ეთმობა ხოლმე. აქცევთ თუ არა ყურადღებას დასაქმების მსურველთა ჰობის და რა შემთხვევაში?

— ეს საქართველოში არსებული საერთაშორისო კომპანიების მიერ დამკვიდრებული გამოცდილებაა. ქართული კომპანიები, როგორც წესი, არ აქცევენ ყურადღებას ჰობის. მით უმეტეს, რომ კანდიდატების უმრავლესობა წერს წიგნის კითხვას, მუსიკის მოსმენას, რაც უფრო თავისუფალი დროის გაყვანის საშუალებაა, ვიდრე ჰობი.

იგივე კითხვებით „ამბები.გე“-მ ნიკორას კადრების შერჩევა-დაქირავების განყოფილების ხელმძღვანელს, **ნინო ზაუტაშვილს** მიმართა:

„უპირატესობას ვანიჭებ რეზიუმეს, რომელშიც ინფორმაციის თანმიმდევრულობა აწმყოდან იწყება და სრულდება წარსული სამუშაო გამოცდილებით. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, აპლიკანტმა რომელ სასწავლებელში დაასრულა სწავლა, მაგრამ უფრო პრიორიტეტული ბოლოდროინდელი სამუშაო გამოცდილებაა“, — აღნიშნა ნინო ზაუტაშვილმა.

რაც შეეხება ფოტოსურათის მნიშვნელობას, მისი თქმით, კომპანია „ნიკორა“ თითქმის არც ერთ შემთხვევაში არ ითხოვს რეზიუმესთან ერთად ფოტოსურათის გაგზავნას, ეს ნებაყოფლობითია. ასევე, კანდიდატის არჩევანზეა დამოკიდებული, რეზიუმეს ბოლოს მიუთითებს თუ არა რეკომენდატორებს წინა სამუშაო ადგილიდან.

რაც შეეხება სამოტივაციო წერილს, დაბალ პოზიციაზე გამოცხადებული ვაკანსიის შემთხვევაში, კომპანია „ნიკორაში“ მას განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევენ.

კომპანია „პალიტრა მედიას“ პერსონალის შერჩევის მენეჯერი თეა მორბედაძე აცხადებს, რომ არ არსებობს რეზიუმეს შედგენის უნივერსალური წესი, თუმცა, სასურველია რამდენიმე რჩევის გათვალისწინება:

„რეზიუმე უნდა იყოს ლაკონური, დახვეწილი, სტრუქტურირებული, წასაკითხად მარტივი და არ უნდა აღემატებოდეს 1-2 გვერდს. გამართული რეზიუმე უნდა მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს: პერსონალური ინფორმაცია, განათლება და პროფ ტრენინგები (სემინარები და კონფერენციები), სამუშაო გამოცდილება, დამატებითი უნარჩვევები და კომპეტენციები (უცხო ენები, კომპიუტერული უნარჩევები და ა.შ.), დამატებითი ინფორმაცია, რომლის მითითება შეიძლება ღირდეს, მაგალითად მართვის მოწმობის ფლობა.“

კადრების შერჩევის პროცესში რეკომენდატორების ფაქტორს „პალიტრა მედიაში“ საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევენ. აპლიკანტის შესახებ ინფორმაციის გადამოწმება რეკომენდატორებთან ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა კარგი სამუშაო გუნდის შესადგენად.

რესპონდენტები რამდენიმე საინტერესო და გასათვალისწინებელი რჩევას აძლევენ სამუშაოს მაძიებლებს:

მაქსიმალურად აარიდეთ თავი შაბლონური სამოტივაციო წერილის შედგენას. ეცადეთ, სამოტივაციო წერილი კონკრეტულ ვაკანსიასა და მასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს შეუსაბამოთ.

უცხო ენის შეფასების დონეს ნუ გააზვიადებთ. თუ დამსაქმებლისთვის თქვენი ცოდნის დონე მნიშვნელოვანია, გასაუბრების შემდეგ ყველა შემთხვევაში მოგიწევთ ტესტირების გავლა. სწორედ ამიტომ, უმჯობესია საკუთარი უნარები რეალურად შეაფასოთ, რათა შემდეგ თავადვე არ აღმოჩნდეთ უხერხულ მდგომარეობაში.

სალომე შიხაშვილი

◎ ჭადრაკი

აზმაიფარაშვილმა ევროპა მოიგო, მსოფლიოსთვის დღეს ბათუმი იბრძოლებს

ნორვეგიულ ტრომსოში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის პარალელურად მნიშვნელოვანი ამბებიც ხდება. უპირველესად, ცხალოესი ოთხი წლის განმავლობაში ევროპის საჭადრაკო კავშირს ზურაბ აზმაიფარაშვილი უხელმძღვანელებს, რაც ქართული სპორტის სინამდვილეში უპრეცედენტო შემთხვევაა. 13 აგვისტოს ფიდეს გენერალურ ასამბლეის წევრები **ფარული კენჭისყრით გადაწყვეტენ, 2018 წელს მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადას ვინ უმასპინძლებს — საქართველო (ბათუმი) თუ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.**

ტრომსოშივე ფიდეს მეთაური კირსან ილუმჟინოვი ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის პოსტის შესანარჩუნებლად კენჭს იყრიდა მსოფლიოს მე-13 ჩემპიონ გარი კასპაროვთან ერთად. 110-მა დელეგატმა, 61-ის წინააღმდეგ, ხმა მისცა ილუმჟინოვს, რომელიც ფიდეს კიდევ ოთხი წელიწადი გაუძღვება.

რაც შეეხება საჭადრაკო ოლიმპიადას, მე-9 ტურში საქართველოს ქალთა ნაკრებმა ინდონეზიას 3:1 მოუგო (ირინე კარიშმა სუკანდარი — ნანა ძაგნიძე 0:1, ბელა ხოტენაშვილი — ვარდა მედინა აულია 0,5:0,5, ანასტასია ვიტრა — ლელა ჯავახიშვილი 0,5:0,5, ნინო ბაციაშვილი — უმი ფისაბილიაჰი 1:0), სომხეთი-რუსეთი 1,5:2,5, საფრანგეთი — ჩინეთი 0,5:3,5, ინდოეთი — უკრაინა 1,5:2,5, ესპანეთი-არგენტინა 3,5:0,5, რუმინეთი — ვიეტნამი 2,5:1,5, გერმანია — უნგრეთი 2,5:1,5,

ცხრა ტურის შემდეგ: რუსეთი — 18, ჩინეთი — 16, უკრაინა — 15, ესპანეთი, გერმანია, რუმინეთი, პოლონეთი — 14-14 ქულა. **საქართველოს ქალთა ნაკრებს 13 ქულით მე-8 ადგილი ეკავა.**

ვაუებმა ყირგიზეთის გუნდი დაამარცხეს 3:1 (მიხეილ მჭედლიშვილი — სემეტეი ტოლოგონთეგინი 0.5:0.5, ასილ აბდიჯაფარი — ლევან ფანცულაია 0.5:0.5, გაიოზ ნიგალიძე-ასკარ ტაკირბაშევი 1:0, მელის მამატოვი — კონსტანტინე შანავა 0:1), ჩინეთი უკრაინა 2:2, ჩეხეთი — საფრანგეთი 1.5:2.5, ნორვეგია — თურქეთი 2:2, აზერბაიჯანი — რუმინეთი 2:2, ისრაელი — უნგრეთი 1:3, ბულგარეთი — კუბა 2.5:1.5, ბელარუსი — ჰოლანდია 2:2, არგენტინა — ინდოეთი 2:2, აშშ-გერმანია 2:2, სომხეთი — სერბეთი 2:2, რუსეთი — ნორვეგია (2) 2.5:1.5. ცხრა ტურის შემდეგ: ჩინეთი, საფრანგეთი — 15-15, უკრაინა, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, უნგრეთი, რუმინეთი — 14-14 ქულა. 13 გუნდს 13-13 ქულა აქვს. **საქართველო 12 ქულით 28-ე ადგილზე იყო.**

ლექსო ციცაძე

სურათზე: მარცხნიდან — ზურაბ აზმაიფარაშვილი, კირსან ილუმჟინოვი და გია გიორგაძე.

◎ ფეხბურთი

საქართველოს ქალთა ჩემპიონატი „იბერია სთარმა“ მოიგო

ამ დღეებში ზუგდიდმა ქალთა შორის საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლა. ტურნირში, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პატრონატით ჩატარდა, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან შვიდი გუნდი მონაწილეობდა — სამეგრელო, აჭარა, გურია, კახეთი, იმერეთი, თბილისი და შიდა ქართლი.

ჩემპიონატის მონაწილე გუნდები ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. საბოლოოდ ფინალურ მატჩში ერთმანეთს თბილისის „იბერია სთარი“ და იმერეთის (ქუთაისის) გუნდი დაუპირისპირდნენ.

თბილისელებმა შეხვედრა 3:1 მოიგეს და ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ. მესამე საპრიზო ადგილი ხაშურის „ივერიამ“ დაიკავა, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში სამეგრელოს გუნდი დაამარცხა.

გამარჯვებულსა და საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს თასები და მედლები გადაეცათ.

ტურნირის ორგანიზატორებმა დააჯილდოვეს ცალკეულ ნომინაციებში გამარჯვებული ფეხბურთელები:

ჩემპიონატის ბომბარდირი — ლელა ჭიჭინაძე, 8 გოლი („იბერია სთარი“, თბილისი),

საუკეთესო მეკარე — ლია გონგლაძე („ივერია“, ხაშური),

საუკეთესო მცველი — თეონა ბაქრაძე (სამეგრელო),

ჩემპიონატის აღმოჩენა — სალომე გასვიანი (ქუთაისი),

ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი — ლანა გორგაძე (ქუთაისი).

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ქალთა ფეხბურთის ასოციაცია შემოდგომაზე ეროვნული თასის გათამაშების ჩატარებასაც გეგმავენ.

ბეჟან დოლიძე

◎ არჩევანი

არგენტინას მარტინო გაწვრთნის

„ბარსელონას“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი ხერარდო მარტინო არგენტინის ეროვნულ ნაკრებს უთავკაცებს. მან აღნიშნულ თანამდებობაზე ალეხანდრო საბელია შეცვალა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგა.

შეგახსენებთ, რომ საბელიას მიერ გაწვრთნილი ნაკრები მუნდიალის ფინალში გავიდა, სადაც გერმანიასთან დამატებით დროში დამარცხდა.

El Mundo Deportivo-ს ცნობით, მარტინომ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 2018 წლამდე გააფორმა. მისი სამწვრთნელო შტაბი იგივე იქნება, როგორიც კატალონიურ გრანდში.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

პორნოვარსკვლავი ფეხბურთით დაინტერესდა

ცნობილი პორნოვარსკვლავი ალეტა ოუშენი ოფიციალურად გავიდა „დამსახურებულ“ პენსიაზე და განაცხადა, რომ მის მიერ წაწოლა-წამოწოლით ნაშოვნი რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის ბიზნესში დაბანდება სურს და ფულის დაბანდების ერთ-ერთ ვარიანტად ფეხბურთს განიხილავს.

ვეტერანი პორნოვარსკვლავი ამბობს, რომ მას უკვე შესთავაზეს ერთ-ერთი ცნობილი ინგლისური საფეხბურთო კლუბის აქციების შეძენა და თუკი ამ შეთავაზებას დათანხმდება, ალეტა ზემოთაღნიშნული კლუბის სოლიდური წილის მფლობელი შეიძლება გახდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ალეტა ოუშენს ეს კლუბი არ დაუკონკრეტებია, ინგლისურ პრესაში გავრცელდა ჭორი, რომ საუბარი „მანჩესტერ სიტის“ აქციებზეა. მავანნი იმასაც წერენ, რომ ალეტას მგზნებარე ურთიერთობა „სიტის“ ერთ-ერთ ბობოლა მეწილესთან ჰქონდა და ამ კლუბში ფულის ჩადებაც სწორედ მან შესთავაზაო. ვინ იცის...

◎ ფარიკაობა

ერაყელები ოსტატობას თბილისში იმაღლებენ

„ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს გყავდათ უმაღლესი კლასის მოფარიკავეები — ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატების გამარჯვებულები და პრიზიორები; ბევრი ქართველი სპეციალისტი წარმატებით მუშაობდა არაბულ ქვეყნებში და მათმა შეგირდებმა საერთაშორისო სარბიელზე კარგი შედეგები აჩვენეს. ამიტომ გადავწყვიტეთ, საწვრთნელ შეკრებაზე თბილისში ჩამოვსულიყავით. თავს აქ თავისუფლად ვგრძნობთ, კლიმატიც შესანიშნავია.. ფედერაციაში კეთილი ადამიანები მუშაობენ, გვეხმარებიან, რჩევა-დარიგებებს გვაძლევენ, რაც ჩვენს მოფარიკავეებს სექტემბერში 23-წლამდელთა აზიის პირველობაზე გამოადგებათ“, — გვითხრა ერაყის მოფარიკავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რაად ტაჰამ. ის და მისი შეგირდები თბილისის საფარიკაო დარბაზში მასპინძლებთან ერთად საწვრთნელ შეკრებას გადიან.

ერთობლივი ვარჯიშები სასარგებლო გამოდგა ქართველი მუშკეტერებისთვისაც, რომლებსაც ყოველდღიურად სხვადასხვა სტილის მოფარიკავეები ჰყავთ სპარინგპარტნიორებად. განსაკუთრებით ეს ითქმის ნიკა შენგელიაზე, რომელიც ჩინურ ნანკინში მსოფლიო ახალგაზრდობის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებს. ეს უფლება მან წლეულს კადეტ მოფარიკავეთა მსოფლიოს პირველობაზე მოიპოვა. ჩინეთში მასთან ერთად მოსინჯავს ძალებს ერაყელი მურთაზ მუსავი, რომელიც ერთი კვირა ემზადებოდა თბილისში.

რაც შეეხება საქართველოს მოხმალავეთა ნაკრების წევრებს, ისინი 14 აგვისტომდე ისვენებენ. მერე ფიზიკური მომზადებისთვის ბექა და სანდრო ბაზაძეები, მიხეილ მარდალეიშვილი და ლუკა ობოლაძე მთავარ მწვრთნელ მერაბ ბაზაძესთან ერთად თურქულ ალანიას მიაშურებენ 11 დღით. 25 აგვისტოდან კი თბილისში განაახლებენ ვარჯიშებს და ახალი სეზონისათვის მოემზადებიან. 23-წლამდელებში ევროპის ჩემპიონი სანდრო ბაზაძე ამჟამინდელი კლასიფიკაციით უფროსებში 24-ეა, რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადაზე წამსვლელთა რეიტინგით კი — მე-13. მთავარია, ქართველმა მოფარიკავემ ეს რეიტინგი გაისადაც შეინარჩუნოს, მაშინ რიოს ოლიმპიადის საგზურს წინ არაფერი უდგას.

ლაშა დიდია

სურათზე: ქართველი და ერაყელი მოფარიკავეები.

ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ ლეგიონერი

ლორია — პრეტაზე

გადაწყდა, რომ გიორგი ლორია ბერძნულ ოფი-ში ითამაშებს, რომელსაც „მილანისა“ და იტალიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ჯენარო გატუზო წვრთნის. ოფი-მ საბერძნეთის სუპერლიგის გასული სეზონი მეექვსე ადგილზე დაასრულა.

ლორიასთვის ოფი პირველი უცხოური კლუბი იქნება. როგორც იცით, მას აქამდე მხოლოდ თბილისის „დინამოში“ აქვს ნათამაშევი.

ბერძნული პრესის ცნობით, ოფიმ გუშინ ოფიციალურად გამოაცხადა ლორიას შეძენის ამბავი. კარგია, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარეს კლუბის დიდხანს ძებნა არ მოუწია. წინ „ევრო-2016“-ის შესარჩევი ეტაპია და მნიშვნელოვანია, რომ ლორია სათანადო კონდიციებში იყოს.

გიორგი ზოთაძე

◎ კონტრაქტი

ლოპესი „მილანშია“

მადრიდის „რეალის“ ყოფილი მეკარე დიეგო ლოპესი უკვე მილანშია და დღეს ახალ კლუბში სამედიცინო შემოწმებას გაივლის. იტალიაში ჩაფრენისთანავე ესპანელმა კარის დარაჯმა ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა.

„ვიმედოვნებ, სამედიცინო შემოწმებას წარმატებით გავივლი. კარიერაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგი. აქ ვარ იმისთვის, რომ წარმატება მოვუტანო იმ კლუბს, რომელიც საუკეთესოა იტალიაში და მსოფლიოში. ვიმედოვნებ, ძირითადში ადგილს დავიმკვიდრებ და ბევრ თამაშსაც ჩავატარებ“ — განაცხადა ლოპესმა და იქვე დაამატა — „დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მადრიდის „რეალს“. ამ კლუბში გატარებული პერიოდი ჩემ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იყო“.

გავრცელებული ინფორმაციით, 32 წლის ესპანელი გოლკიპერი ევროპის ერთ-ერთ ტიტულოვან კლუბთან 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს და მისი ანაზღაურება წელიწადში 2.5 მილიონი ევრო იქნება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ო, ენავ ჩემო!

გადავტვირთოთ საქონელი აზერბაიჯანში?

კარგა ხნის წინათ, კიდევ ერთი უხეირო გამოთქმა გაჩნდა ჩვენს მეტყველებაში, რომელმაც მერე გადაინაცვლა პრესისა და ტელევიზიის ენაში (იქნებ, პირიქითაც მოხდა), და გამორიცხული არ არის, რომ ოფიციალურ დოკუმენტებშიც დამკვიდრდეს. საქმე ეხება ეკონომიკური ურთიერთობის, კერძოდ, საქონელგაცვლის პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის — მოწოდების გამომხატველ კონსტრუქციას: საქონლის, პროდუქციის გაგზავნა-გამოგზავნას.

ბოლო დროს რატომღაც ამ გამოთქმის ნაცვლად ძალიან ხშირად ხმარობენ სიტყვებს: *გადატვირთეს, გადმოტვირთეს, გადატვირთული, გადმოტვირთული,* არც ერთი ლექსიკონი, ზოგადი თუ დარგობრივი, არ იძლევა ასეთ ფორმას.

მაგალითად, სამრეწველო საწარმოს ორგანიზაციისა და დაგეგმვის ტერმინოლოგიაში დადასტურებულია ასეთი ტერმინები: „გაგზავნილი პროდუქცია“; „გაგზავნილი საქონელი“ (отгруженная продукция, отгруженный товар), ტექნიკურ ტერმინოლოგიაში ტვირთის გაგზავნა (отгрузка), რუსულ-ქართულ ლექსიკონში отгрузить — მე-2 მნიშვნელობით: ტვირთის გაგზავნა. *გადატვირთავს* ზმნას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ასე განმარტავს: ტვირთს გადაიღებს, გადაიტანს (ავტომობილიდან, ვაგონიდან), გადაცლის (ავტომობილს, ვაგონს), ქვანახშირი გადატვირთეს, ვაგონები გადატვირთეს. როგორც ვხედავთ, ამ განმარტებაში გაგზავნის ზმნის ნასახიც არ არის. მაშასადამე, აქ ისევ დაუკვირვებლობასთან, კერძოდ, რუსული ტერმინის „отгрузка“-ს არასწორ გაგებასთან გვაქვს საქმე.

ამიტომ ისეთი ტიპის წინადადებებში, როგორიც არის, მაგალითად: „...საწარმოების წინაშე სახელმწიფოს დავალიანება თურქმენეთში პროდუქციის *გადატვირთვასთან* დაკავშირებით უნდა ანაზღაურდეს... აქციების გაცემით“, „თბილისიდან ბათუმში *გადატვირთული* სამრეწველო საქონელი“..., „ვანიდან თბილისში *გადმოტვირთული* თხილი...“ და მისთ., *გადატვირთავს* ზმნა და მისგან წარმოებული ფორმები უნდა შეიცვალოს *გაგზავნის* ზმნითა და მისი ნაირგვარი ფორმებით.

აზარბაიჯანში საქონელი კი არ უნდა გადავტვირთოთ, უნდა *გავგზავნოთ.*

ატარებენ კი სალუტს?

სანამ ძირითად სათქმელს ვიტყოდეთ, გავიხსენოთ, თუ რა შემთხვევებში, რა კონტექსტში, რა მნიშვნელობით ხმარობენ ხოლმე *ატარებს* (*ჩაატარებს*) ზმნას. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულის 41-ე გვერდზე, მოკლედ თუ ვიტყვით, შემდეგი წერია: „*ატარებ-ს*... 1. დააქვს ან დაჰყავს... 2. ჩვეულებრივ თან დააქვს ხოლმე... — ხმარობს; ჩვეულებრივ აცვია, ახურავს, ჰკიდია. 3. (წიგნ.) აქვს რამე... 5. რამეში გასვლის, გაღწევის, გავლის საშუალებას აძლევს, უშვებს... 6. გარკვეული დროის განმავლობაში სადმე იმყოფება, რჩება...“

ამ ამონაწერებში განგებ არის გამოტოვებული მე-4 პუნქტი. აი ისიც: „4. (საუბ.) აწყობს, მართავს (კრებას, ლექციას...), აწარმოებს (ცდას...); ხელმძღვანელობს, წარმართავს (დავუმატებდით: უძღვება. — ავტ.) რასმე. კრებას ა. — საჩვენებელ გაკვეთილს ა. — ცდებს ა.“ ჩვენთვის აქ მთავარია მინიშნება: „საუბ.)“, ესე იგი ზეპირი მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. უფრო დაწვრილებით ამას კიდევ შევეხებით.

ახლა კი, ჰაერში გამოკიდებული რომ არ დაგვრჩეს სათაურში გამოტანილი კითხვა, ბარემ აქვე ვუპასუხოთ მას. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ჩავატაროთ სალუტი — სამხედრო საზეიმო მისალმება ქვემეხების ან თოფების ზალპით, ნაირფერი შუშხუნების აშვებით (ქეგლ-ი). ვნახოთ, როგორ იყო ნათქვამი, მაგალითად, ერთ-ერთ საცდაექვსმაისო სამხედრო ბრძანებაში. იქ პირდაპირ ეწერა: „*ჩატარდეს* სალუტი“, ესე იგი, ჩავატაროთ მისალმება ბათქაბუთქითო. ხედავთ, სადამდე მივიდა საქმე?

დავუბრუნდეთ ამ ზმნის მე-4 მნიშვნელობას. 1985 წელს გამოცემულ მეშვიდე წიგნში სერიიდან „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ (რა დასანანია, რომ ეს ნიადაგსახმარი წიგნი მხოლოდ 5 ათას ცალად გამოიცა!) ნათქვამია, რომ:

— *ჩაატარებს* ზმნა (და მისგან წარმოებული ფორმები, *ჩატარდა, ჩატარებული, ტარდება* და მისთ.) „უმართებულო შესიტყვებებს ქმნის იმ შემთხვევებში, როდესაც მასთან დაკავშირებულია საწყისი ან მისი მსგავსი სახელი, აბსტრაქტული ცნების გამომხატველი“;

— საუბრები, საღამო, კონკურსი, დავუმატებდით: არჩევნები, მანიფესტაცია, მიტინგი, ჩემპიონატი, მატჩი, კონცერტი, ალპინიადა, ტურნირი და მისთანანი ისეთ სახეობათა ღონისძიებანია, რომლებიც შესიტყვებაში იგუებენ „*არა ატარებს ზმნას,* არამედ *მართავს, აწყობს ზმნებს*“;

— აქ აშკარად ჩანს რუსული ენის (проводить, провести) გავლენა და სწორედ ამას „უნდა მიეწეროს ღონისძიებათა მოწყობის, მიმდინარეობის აღსანიშნავად უკანასკნელ ხანს ქართულში *ატარებს, ტარდება* ფორმირების მოძალება გამართეს, იმართება, *აწყობს, ეწყობა* ფორმათა ნაცვლად“.

რაკი ასეა, წერილობით მასალებში, მით უმეტეს იურიდიულ, პოლიტიკურ და სხვა დოკუმენტებში ეს ფორმა არ უნდა იხმარებოდეს.

განვიხილოთ ამ თვალსაზრისით ქვემოთ მოყვანილი წინადადებანი და ვცადოთ მათი გასწორება.

„არჩევნებს საარჩევნო დებულების მოთხოვნთა სრული დაცვით *ატარებენ* (უნდა იყოს: *აწყობენ, მართავენ*)“; „აჭიანურებს თანხის გამოყოფას... აკადემიაში სერტიფიკაციის (და არა სერთიფიკაციის. — ავტ.) *ჩასტარებლად* (უნდა იყოს: *მოსაწყობად, მოსახდენად, განსახორციელებლად..*)“; „ჩემი თაობის ბედი სისასტიკის ნიშნით არ ჩატარდა? (აჯობებდა ალბათ: *არ წარიმართა?* ან: *არ დატრიალდა?* და სხვ.)“; „აღდგენითი სამუშაოების *ჩასატარებლად* (უნდა იყოს: *შესასრულებლად*) დიდძალი სახსრებია საჭირო“; ჩინეთმა კადასტრი საკუთარი ძალებით *ჩაატარა* (თუ სამუშაო იგულისხმება, უნდა იყოს: *შეასრულა*; თუ რისამე შესახებ მონაცემთა კრებულია — *შეადგინა*)“; „მასალების შექმნისათვის ახდენს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებების *ჩატარებას* (ახდენს... ჩატარებას?!) (უნდა იყოს: *ახორციელებს* სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებას)“; „ეს საშუალებას მისცემს საქართველოს უახლოეს ხანებში ჩაატაროს აშშ-სთან ერთობლივი სამხედრო-საზღვაო სწავლებანი შავ ზღვაზე (აჯობებდა: *მოაწყოს* ან *გამართოს* ამერიკის შეერთებულ შტატებთან (ან: აშშ შტატებთან) ერთად *სამხედრო-საზღვაო სწავლება* (ან: *წვრთნა*) შავ ზღვაზე)“; „წინა ტურნეს დროს მათ მეცადინეობები ჩაგვიტარეს მე და დავით კილასონიას (აჯობებდა: *გვამეცადინეს,* ან: *გვავარჯიშეს...*)“.

გვესმის, რა ძნელია ამ პრობლემის გადაჭრა, მაგრამ მთავარია დავიწყოთ. საჭიროა ერთი რამ: დავათმობინოთ ამ ზმნას მხოლოდ მეოთხე პოზიცია, რითაც არაფერი დაუშავდება, და საქმეც უეჭველად დაიძვრება ადგილიდან.

ოთარ კაპანაძე

ციალა და გურამ ბათიაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კანადაში, ქტორონტოში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა საქართველოზე შეყვარებული ჩინებული პიროვნება, ბიზნესმენი

ომარ კოკის ძე სეფიაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ იურიდიული კონსულტაცია

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი. ტელ: 595 05 11 77; 593 35 99 09.

კითხვა: ვარ 22 წლის, მყავს 3 წლის ბავშვი, რომელსაც მამამ გვარი მისცა, მაგრამ შემდეგ მისი ასავალ-დასავალი აღარ ვიცით, საერთოდ არ ნახულობს ბავშვს, სადღაც დაიკარგა. იქნებ მაცნობოთ, ჩავითვლები თუ არა მარტოხელა დედად?

ნანა აბზიანიძე

პასუხი: შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, მარტოხელა დედად არ ჩაითვლებით. თქვენი შვილი, რომლისთვისაც მამას გვარი მიუცია, სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რითაც რეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვი. ასე რომ, თუ თქვენი შვილის მამა ნებაყოფლობით არ მონაწილეობს ბავშვის აღზრდაში, სრული უფლება გაქვთ, მისთვის შვილის სარჩენად ალიმენტის დაკისრების თაობაზე მიმართოთ სასამართლოს.

* * *

კითხვა: ვარ 25 წლის, მყავს 2 შვილი, მათ შორის უმცროსი 2 თვისაა. ვმუშაობ ბანკში მაღალ ხელფასზე. მეუღლეს და დედას დაბალი ხელფასი აქვთ. მინდა, გავიდე სამსახურში და ჩემს ნაცვლად ბავშვის მოსავლელად დედაჩემმა აიღოს უხელფასო შვებულება. ადრე ეს დასაშვები იყო. გთხოვთ, მაცნობოთ, ისევ მოქმედებს ასეთი წესი?

ნელი ბოტკოველი

პასუხი: საქართველოს შრომის კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შვებულება ბავშვის (შვილიშვილის) მოსავლელად შეუძლია აიღოს ბავშვის ბებიამ ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც მას მოუვლის. მხედველობიდან არ გამოგრჩეთ, რომ მოქმედი შრომის კოდექსით, ქალს შვებულება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო (ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე) საერთო ჯამით 730 კალენდარული დღის ხანგრძლივობით ეძლევა.

* * *

კითხვა: როგორც გავიგე, მალე პენსიები მოიმატებს. მაინტერესებს, როგორი წესით ხდება დანიშნული პენსიის გადაანგარიშება მომატების თვალსაზრისით. უფრო კონკრეტულად, საჭიროა თუ არა ამისთვის სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის განცხადებით მიმართვა და ხანგრძლივი შრომის სტაჟის შესახებ საბუთების წარდგენა. აქვე გაცნობებთ, რომ მსგავსი საბუთი, როცა პენსია 10 წლის წინათ დამენიშნა, წარდგენილი მაქვს.

ლაურა ფსუტური

პასუხი: „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ 2006 წლის 1 იანვრიდან მოქმედი კანონის შესაბამისად, განსაზღვრულ პენსიის ოდენობებში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, გადაანგარიშება განხორციელდება ავტომატურად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის — სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ სამსახურში, პენსიის მიმღები პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, მაგრამ ჯერჯერობით პენსიების მომატებაზე არავითარი დადგენილება მიღებული არ არის. თუ ასეთი იქნება — დაუყოვნებლივ გაცნობებთ ჩვენი გაზეთის მეშვეობით.

* * *

კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რომელ ინვალიდებს აქვთ პენსიის მიღების უფლება ჩერნობილში მიღებულ დაავადებასთან დაკავშირებით? მინდა, ვიცოდე, ენიშნებათ თუ არა პენსია ბირთვული ავარიის შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებს, ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის გამო?

მიხეილ ძოგალია

პასუხი: „ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეობის დროს დაინვალიდებულ პირებს პენსია ენიშნებათ მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მიუხედავად ან საპენსიო ასაკის გამო.

◎ ალიანჩალიანი

ალმოაჩინეს არადეკლარირებული საქონელი

შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა საბაჟო გამშვებ პუნქტ „სადახლო-საავტომობილოს“ ტერიტორიაზე სომხეთიდან შემომავალი საქართველოს მოქალაქის მ.დ-ს ავტომობილის დათვალიერებისას არადეკლარირებული საქონელი იპოვეს.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, აღმოჩენილია ტრაქტორის და ავტომობილის გაზის მიწოდების სისტემის სათადარიგო ნაწილები. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 3792,51 ლარი შეადგინა.

მოქალაქე მ.დ-ს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289 მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად 3792,51 ლარის ოდენობის სანქცია შეეფარდა.

თურქეთიდან ფსიქოტროპული მედიკამენტები შემოჰქონდათ

„ვალეს“ ტერიტორიაზე თურქეთიდან შემოსულ საქართველოს მოქალაქე ფ.ნ.-ს ფსიქოტროპული პრეპარატები აღმოაჩნდა.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საბაჟო პროცედურების განხორციელებისას აღნიშნული მოქალაქის კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად, ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი 200 აბი x/kjhlbfptgj[blt გამოვლინდა.

საქმე შემდგომი რეაგირებისათვის შსს სამცხე-ჯავახეთის საპატრულო პოლიციის საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

ნარკოტიკები - გერმანიიდან გამოგზავნილ ამანათში

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში 1977 წელს დაბადებული ილია წ. დააკავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 243 აბი და 4 ნატეხი „სუბუტექსი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 1,9586 გრ ბუპრენორფინს შეიცავს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ილია წ-ს ნარკოტიკი გერმანიიდან ამანათით გამოუგზავნეს.

საქმეს შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი იძიებს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

მსოფლიოს 7 ყველაზე ძვირადღირებული უნივერსიტეტი

ამ უნივერსიტეტებში მოხვედრა ადვილი არ არის, სწავლა კი უფრო რთულია

მსოფლიოს 7 ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტის სიაში, ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია კემბრიჯს უკავია. ამ უნივერსიტეტიდან გამოსულთა შორის 81 ნობელის პრემიის ლაურეატია.

1. კემბრიჯის უნივერსიტეტი

მეორე უძველესი უნივერსიტეტი დიდ ბრიტანეთში, ოქსფორდის შემდეგ, რომელიც მუდმივად ლიდერობს მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგში. კემბრიჯის ყველაზე პირველი კოლეჯი 1284 წელს გაიხსნა, დღესდღობით კი მათი რიცხვი 31-ს შეადგენს. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე უამრავი რესტორანი და წიგნის მაღაზიაა. სწავლების საფასური კი დაახლოებით 14000 დოლარია წელიწადში.

2. ჰარვარდის უნივერისტეტი

ჰარვარდში სწავლა წელიწადში 40.000 დოლარი ჯდება. ის აშშ-ის ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტია, რომელიც განთავსებულია მასაჩუსეტსის შტატში.

ჰარვარდის უნივერსიტეტი დაამთავრა ამერიკის რვა პრეზიდენტმა და ოცდაათმა ნობელის პრემიის ლაურეატმა. უნივერსიტეტის მთავარი ფერია — ბორდოსფერი, რომლითაც შეღებილია შენობების უმეტესობა სტუდქალაქში. ბიბლიოთეკები, ადმინისტრაციული შენობები და პირველკურსელთა საერთო საცხოვრებელი განთავსებულია უზარმაზარ ჰარვარდის პარკში, ხოლო ცნობილი ჰარვარდის ბიზნესსკოლა და სტადიონი, სადაც უნივერსიტეტის საფეხბურთო გუნდი თამაშობს, განთავსებულია მეზობელ ქალაქ ოლსტონში.

3.პრინსტონის უნივერსიტეტი

პრინსტონის უნივერსიტეტი შედის ცნობილი „აივი ლიგის“ ასოციაციაში, რომელშიც გაერთიანებულია აშშ-ის 8 უნივერსიტეტი. აქ მოხვედრა ძალიან რთულია. უნივერსიტეტში მიიღებიან მხოლოდ 8-10 პროცენტი იმ აბიტურიენტებისა, რომლებმაც ჩარიცხვის შესახებ განცხადება შეიტანეს.

სწავლების საფასური: წელიწადში დაახლოებით 37 000 დოლარია.

4.სტენფორდის უნივერსიტეტი

სტენფორდის უნივერსიტეტში, რომელიც კალიფორნიის შტატში, სილიკონის ველის შუაგულში — ქალაქ პალო-ალტოსთან მდებარეობს, სწავლება წლიურად 40 500 დოლარი ღირს. ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა სიაში შედიან ის ადამიანები, რომლებმაც ისეთი წარმატებული კომპანიები დააარსეს, როგორიცაა Hewlett-Packard7 Cisco Systems7 Electronic Arts lf Yahoo!.

სტენფორდის უნივერსიტეტის კამპუსი უფრო მექსიკურ კურორტს წააგავს, რითაც რადიკალურად განსხვავდება კლასიკური პრინსტონის, ჰარვარდის და იელის უნივერსიტეტებისგან.

საქართველო ბრაზილიული მედიცინის სამშობლოა

ისარგებლეთ საუკუნეების მანძილზე გამოცდილი ბუნებრივი წამლებით

„ფერდის“ და „სალხინოს“ კომპლექსური გამოყენება



კლინიკური კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია „ფერდის“ და „სალხინოს“ ერთობლივი გამოყენება ქიმიოთერაპიის გვერდითი მოვლენების აღმოსაფხვრელად. გააჩნიათ ძლიერი ანტიოქსიდანტური და იმუნომოდულატორული თვისებები. გამოიყენება ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების დროს, ასევე ენდომეტრიოზის, ჰეპატიტის, ნეფრიტის და კუჭ-ნაწლავის დაავადებების მკურნალობაში.

პირველი 6-7 დღე ინიშნება „ფერდის“ და „სალხინოს“ კაფსულა 3-ჯერ დღეში ერთდროულად, თითოეული კაფსულის მიღებისას აუცილებელია 200 მლ-მდე წლის მიყოლება. მომდევნო პერიოდში — 2 კაფსულა „ფერდი“ და 1 კაფსულა „სალხინო“ 3-ჯერ დღეში ერთდროულად, დამატებით 2 კაფსულა „ფერდი“ ძილის წინ, მიღების დროს ყველა შემთხვევაში აუცილებელია წყლის მიყოლება. პაციენტი შვებას გრძნობს 10-15 დღის შემდეგ, მკურნალობა გრძელდება 5-6 თვე ან საბოლოო გამოჯანმრთელებამდე.

„ფერდი“ და „სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

მილოცვა



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ვულოცავთ ძვირფას კოლეგასა და მეგობარს გია ტუხაშვილს.

მრავალჟამიერ, ძმაო „ტუხა“!

ცინცხალი ანეკდოტები

— როგორ გგონია, მომცემენ პატენტს გამოგონებისთვის?
— რა არის გამოგონების არსი?
— გეხმარება კედლის გავლაში.
— რა ჰქვია?
— კარი.

* * *

— მორჩა, ნატაშკამ მიმატოვა.
— კარგი რა! მასეთი კიდევ ასი გეყოლება!
— კიდავ ასი? ღმერთო, რა დანაშაულისთვის?

* * *

— ძვირფასო, აქ ყველგან კატის კურკლები ყრია, ფრთხილად შემოუარე.
— რატომ? ჩვენ ხომ სიდედრთან მივდივართ ახალი ნოხების დასათვალიერებლად.

* * *

— საყვარელო, დღეს უტრუსოდ ვარ...
— გეყო, დაშენკა, ნუ წუწუნებ! მალე სამსახურს დავიწყებ და ყელაფერს გიყიდი.

* * *

— დღეს ისეთი პოლიტიკაა, უმჯობესია, ჭკვიანი კაცი ჩუმად იყოს.
— იმიტომაც არის პოლიტიკა ასეთი, რომ ჭკვიანები ჩუმად არიან.

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ძოგულია
299-62-77;
599 36 00 35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 599 56 81 86
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24